



იმისთანა წმინდა საძმომი, ბოგბილ ბუქ-
უდის სიფყაა, ცუდილებით და ჭბრებით ბუბ-
თის გაფანა ყულა უჯადისთბაჟ უსამაგლსია.



გაგონის 1918 წლის
25 ივლისიდან

რესპუბლიკა

პარასკევი, 14 ივნისი. 2019 წ. №119 (8785)

ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge

ფასი 60 თეთრი

„როგორ უიძლება, ბორჯომი იყოს რუსული ბიზნესი?“



ამიერიან სალუქვაძე: გვაქვს კი თავმოყვარეობა? 4

ბატონო კარლ ჰარცელ, თუ რეკომენდაციაა, აუცილებლად შესასრულებელი რატომაა, ვინ აუინებთ?!

საარჩევნო სისტემის ცვლილებებზე
სამუშაო ჯგუფის შეხვედრას არასამ-
თავრობო ორგანიზაციებისა და საქარ-
თველოში აკრედიტირებული დიპლო-
მატიური კორპუსის წარმომადგენლე-
ბი ესწრებოდნენ, მათ შორის იყო საქარ-
თველოში ევროკავშირის წარმომადგენ-
ლობის ხელმძღვანელი კარლ ჰარცელი.
მისი თქმით, მნიშვნელოვანია, რომ ოდი-
რის მიერ გამოვლენილი ხარვეზების გა-
მოსწორება მოხდეს, რათა მომდევნო სა-
პარლამენტო არჩევნებისთვის საარჩევ-
ნო სისტემა იყოს მყარი:



„ყურადღებას ვამახვილებთ წინა არ-
ჩევნების შემდგომ პერიოდებზე, მათ შორის საპრეზიდენტო არ-
ჩევნების შემდეგ, რომელმაც საერთაშორისო გაერთიანებას, მათ
შორის ევროკავშირს, არაერთ საკითხზე შეეფოთება დაუტოვა.
მათი ფორმულირება მოხდა რეკომენდაციების სახით სხვადასხვა
სადამკვირვებლო ანგარიშში. ასლა აუცილებელია, შესრულ-
დეს ოდირის 27 მთავარი რეკომენდაცია.
მოხარული ვარ, რომ ეს პროცესი დაიწყო, რადგან დრო
შეზღუდულია და მომავალი წლიდან საარჩევნო წელი იწყე-
ბა. ასე რომ, ეს ძალიან მნიშვნელოვანი ამოცანაა. ეს ადვილი
არ იქნება, თუმცა იმედი გვაქვს, რომ იქნება ინვლუზიური პრო-
ცესი, რომელშიც ბოლომდე ჩართული დარჩებიან ყველა: ოპო-
ზიციური პარტიები, არასამთავრობო ორგანიზაციები, საერ-
თაშორისო ექსპერტები, სააგენტოები და სამინისტროები. დღე-
ვანდელი განხილვის ერთ-ერთი თემა იყო ასევე საარჩევნო სის-
ტემაზე. მინდა, საზოგადოებას ოდირის მიერ გამოვლენილი ხარ-
ვეზების გამოსწორების მნიშვნელობას იმის უზრუნველსაყო-
ფად, რომ მომდევნო საპარლამენტო არჩევნებისთვის საარჩევნო
სისტემა იყოს მყარი“, – განაცხადა კარლ ჰარცელმა.

ამერიკელები არ დაუშვებენ, კავკასიაში 8 ჩინეთი გაბატონდეს



ჩინური კომპანიების წინააღმდეგ სანქციები საქართველოში აისახება



13 ივნისის სტიქია არ უნდა დავივიწყოთ! 3



აჯობებს ლონდა თოლორაია 5 თამარ ქალღანს?!



კენჭისყრა 3 დაწყებულია – მუცო ევროპის ხმებისთვის იბრძვის

როგორ კურორტი რა დაავადებებს კურნავს 6

ფონდი „ქართუ“ გორა- ბერეჟოვსკას მისწვდა! 12

ირაკლი კობახიძე - ოპოზიციის ღრმა კრიზისშია!

ოპოზიციის კრიზისის მდგომარეობაშია და კრიზისის დაძლევისთვის სჭირდებათ საკუთარი დღის წესრიგის შექმნა და ამის კარგი საშუალება არის ახალი თემის წინ წამოწევა.

„კრიზისის მდგომარეობაშია და კრიზისის დაძლევისთვის სჭირდებათ საკუთარი დღის წესრიგის შექმნა და ამის კარგი საშუალება არის ახალი თემის წინ წამოწევა. ეს არის თემა, რომელზეც მსჯელობა გვექნება 2016 წლამდე და მას შემდეგაც. „ქართულმა ოცნებამ“ ორჯერ შესთავაზა ოპოზიციას 2020 წლისთვის პროპორციული სისტემის ამოქმედება. 2016 წლამდე პროპორციული სისტემის ამოქმედება იყო დავით უსუფაშვილი, რომელმაც კოალიციის სახელით წინადადება გააჟღერა, რომ 2016 წლის არჩევნები შერეული სისტემით ჩატარებულიყო და 2020 წლის არჩევნები პროპორციული სისტემით ამოქმედებულიყო. ოპოზიციას ჩვენც შევთავაზეთ, რომ ეს ყველაფერი 2020 წლიდან ამოქმედებულიყო. რაზეც უარი თქვეს მარტივი საბაბით. საბაბი სჭირდებათ, რომ მხარი არ დაეჭირათ. არ უნდა იყოს, რომ უმრავლესობას ქულები დაენერა. ეს იყო მათი არჩევანი. არჩევანი იმის სასარგებლოდ გააკეთეს, რომ 2020 წელს არ ამოქმედდებოდა ეს სისტემა. მოგვინია უმრავლესობაში კონსენსუსის მიღწევა, შერეული სისტემა იქნება და შემდეგ პროპორციულზე გადავალთ. იმედია, 2024 წლისთვის დემოკრატიული კულტურა იმდენად გაიზრდება, რომ სრულად იქნება სისტემა მზად პროპორციული სისტემისთვის“, - განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

სიძულვილის ენასთან დაკავშირებით კანონპროექტის განხილვა დაიქარდა!



სიძულვილის ენის პრობლემა აქტუალური საკითხია, ამ თემაზე ჩვენ გვექნება მსჯელობა საარჩევნო საკითხებზე მომუშავე ჯგუფის ფორმატშიც, საარჩევნო კუთხით, - ამის შესახებ პარლამენტის თავმჯდომარე ირაკლი კობახიძემ საარჩევნო საკითხებზე გამართული სამუშაო შეხვედრის შემდეგ განაცხადა. შეხვედრაზე სიძულვილის ენის პრობლემა და ამ საკითხის საკანონმდებლო რეგულირების აუცილებლობის საკითხი კომუნიკაციების ეროვნული კომისიის თავმჯდომარე კახა ბექაურმა დააყენა.

„შესაბამისი კანონპროექტი ინიცირებულია, შესაბამის წამყვან კომიტეტში განიხილება. კანონპროექტი თვეების განმავლობაში გაჩერებული იყო. ჩვენ ზომებს მივიღებთ, რომ ამ კანონპროექტის განხილვა დაიქარდეს და ფართო კონსულტაციები ყველა დაინტერესებულ მხარესთან გვექნება. ვადასტურებ, რომ კახა ბექაურის მიერ გაჟღერებული ინიციატივა ძალიან მნიშვნელოვანი და აქტუალურია და დროულად არის გადაწყვეტილება მისაღები. რატომ არის კანონპროექტი შეჩერებული, ვერ გეტყვით. წამყვან კომიტეტში

ჯერ არ განხილულა“, - განაცხადა ირაკლი კობახიძემ. „ვეცდებით, ამ საკითხის განხილვა დაიქარდეს. სიძულვილის ენაც, სამწუხაროდ, გამოხატვის თავისუფლების შემადგენელი ნაწილია, მაგრამ ამოცანა ზუსტად ის არის, რომ ჩვენ საუკეთესო ბალანსი მოვძებნოთ ადამიანის სურვილს შორის, სიძულვილით ილაპარაკოს და, მეორე მხრივ, გამოხატვის თავისუფლებას შორის. ეს ჩვენი ამოცანაა“, - განაცხადა ირაკლი კობახიძემ. პარლამენტის თავმჯდომარის შეფასებით, სიძულვილის ენა არის პრობლემა ქართულ მედიაში და საზოგადოებაში. „როცა პოლიტიკურ კულტურაზე ვსაუბრობთ, ვიძრე მედიაში ან პოლიტიკაში ამ მასშტაბით იქნება წარმოდგენილი სიძულვილის ენა, წარმოდგენილია საზოგადოების პრობლემა. ეს ის საკითხია, რომელიც შესწავლას და კონსულტაციებს საჭიროებს. ამის საფუძველზე მივიღებთ გადაწყვეტილებას“, - განაცხადა ირაკლი კობახიძემ.



აშშ-ის საელჩო და ევროკავშირი სასამართლო ჩაფორმების მეოთხე ტალღას მიესალმებიან

აშშ-ის საელჩო და ევროკავშირის დელეგაცია საქართველოში მიესალმებიან სასამართლო რეფორმის მეოთხე ტალღის ფინალურ კანონპროექტს, რომელიც ფართო კონსენსუსით მომზადდა, - ამის შესახებ აღნიშნულია საქართველოში აშშ-ის საელჩოს განცხადებაში. როგორც განცხადებაში აღნიშნული, სამუშაო ჯგუფი შედგებოდა სხვადასხვა აქტორისაგან, მათ შორის საერთაშორისო საზოგადოების, სამოქალაქო საზოგადოებისა და სასამართლო სექტორის წარმომადგენლებისგან. „მიგვაჩნია, რომ კანონპროექტში ასახულია ძირითადი რეკომენდაციები, რომელიც ეფუძნება საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილებას და ემსახურება საქართველოში სასამართლო სისტემის გამჭვირვალობის, ანგარიშვალდებულებისა და დამოუკიდებლობის გაზრდას. ველით პარლამენტის მიერ ამ კანონის მიღებას და სასამართლო ინსტიტუტების მიერ მის განხორციელებას. მზად ვართ, დახმარება გავწიოთ ამ კანონპროექტის დანერგვისა და შემდგომი რეფორმების პროცესში“, - აღნიშნულია განცხადებაში.

ურთიერთობები მოსკოვსა და ვაშინგტონს შორის უფრო და უფრო უარესდება

რუსეთის პრეზიდენტის ვლადიმერ პუტინის თქმით, ურთიერთობები მოსკოვსა და ვაშინგტონს შორის სულ უფრო და უფრო უარესდება. აღნიშნული განცხადება პუტინმა ტელეკომპანია „მირთან“ გააკეთა, როგორც ამას კრემლის პრესსამსახური ციტირებს. „აშშ-ის ამჟამინდელი ადმინისტრაციამ, ბოლო წლებში რუსეთის წინააღმდეგ არაერთი სანქცია ამოქმედდა“, - დასძინა მან. პუტინის თქმით, ის იმედოვნებს, რომ საბოლოოდ, აშშ და რუსეთი საერთო ენას გამოიხატავენ. პუტინმა ასევე ისაუბრა დიდი ოცეულის სამიტთან დაკავშირებით, რომელიც იაპონიაში გაიმართება იენის ბოლოს და სადაც, სავარაუდოდ, იგეგმება აშშ-ისა და რუსეთის პრეზიდენტების შეხვედრა. დიდი ოცეულის სამიტის ფარგლებში, პუტინისა და ტრამპის შეხვედრა უფრო მეტად დადასტურებული არ არის.



მატარებელი ღილი ხნის წინათ ჩაიარა!

მ.წ. სამხრეთ ოსეთის არაფერი აქვს საერთო საქართველოსთან და არ აპირებს, გახდეს მისი ნაწილი, - სამხრეთ ოსური მედიის ცნობით, ამის შესახებ ოკუპირებული ცხინვალის ე.წ. საგარეო საქმეთა მინისტრმა დიმიტრი მედოევიმ განაცხადა. ამგვარად, მედოევი გამოეხმაურა აშშ-ის, ევროკავშირისა და ნატო-ს განცხადებებს ოკუპირებულ ცხინვალში ჩატარებული ე.წ. საპარლამენტო არჩევნების არალიარების შესახებ. „მათ ახალი არაფერი უთქვამთ. ეს მხოლოდ სიტყვებია, რომლებიც ჩვენ უკვე 30 წელია, გვესმის. მათ არ სურთ, დაიჯერონ, რომ 1989 წლიდან სამხრეთ ოსეთს საქართველოსთან საერთო არაფერი აქვს და არანაირი დიდი რეზონანსი არ აპირებს, გახდეს მისი ნაწილი. მატარებელია დიდი ხნის წინათ ჩაიარა“, - განაცხადა მედოევი. „ჩვენ, როგორც ეს ქარავანი, რომელიც თავისი გზით მიდის, ყურადღებას არ აქცევს გარშემო ხმაურს, გავაგრძელებთ სვლას ჩვენი მიზნისკენ - დამოუკიდებელი და დემოკრატიული სახელმწიფოს შენებისკენ“, - აღნიშნა მინისტრმა.

სხინვალის საფეხბურთო ნაკრების წევრებს ვლადი- კავკაზში სუბსიდი გაუხსნეს

მ.წ. სამხრეთ ოსეთის საფეხბურთო ნაკრების წევრები სტეპანაკურტში გამართული არალიარებული სახელმწიფოების ჩემპიონატის დანაწილების შემადგენლობით დაბრუნდნენ. როგორც ოსური მედია იტყობინება, ვლადიკავკაზში ფეხბურთელებს ცეცხლი გაუხსნეს. არსებული მონაცემებით, ვლადიკავკაზში ე.წ. სამხრეთ ოსეთის გუნდის ფეხბურთელების ნაწილსა და ადგილობრივ მცხოვრებლებს შორის ჩხუბი მოხდა. კონფლიქტის მიზეზი ჩხუბის მონაწილეების მიერ ფეხბურთის მატჩზე ე.წ. სამხრეთ ოსეთის გუნდის წინააღმდეგ დადებული ფსონი გახდა. კონფლიქტის დროს ახალგაზრდა მამაკაცებმა ცივი და ცეცხლსასროლი იარაღი გამოიყენეს. ინციდენტის დროს არავინ დაშავებულა. სამართლდამცველებმა ჩხუბში მონაწილეები დააკავეს, მათ შორის არიან საფეხბურთო ნაკრების წევრები.

მათი მოტი

იხსოვრე მათთვის ინტერნეტსამყაროში მთელი ფაფხული

გა2მაგაზუნი
ოპტიკური ინტერნეტის სიჩქარე

დარეკეთ ნომერზე 0800100202 და ყოველგვარი დამატებითი გადასახადის გარეშე მიიღეთ სარეჟარო მატისგან: ოპტიკურ-ბოჭკოვანი ინტერნეტის გაორმაგებული სიჩქარე.

მაქსიმალური გაორმაგებული სიჩქარე 100 მბ/წმ-მდე.

სიჩქარე სიჩქარე

13 ივნისის სტიქია არ უნდა დავივიწყოთ!

თბილისის მერმა კახა კალაძემ საკრებულოს წევრებთან ერთად 13 ივნისის სტიქიის შედეგად დაღუპულთა მემორიალი გვირგვინით შეამკო.

„2015 წლის 13 ივნისი ყველას გვახსოვს, რამდენად მძიმე იყო. რთულია ახლა ყველაფრის სიტყვით გადმოცემა, რამდენად უძლურები ვიყავით ბუნების წინაშე და რამდენად რთული და მძიმე იყო იქ არსე-

რომელიც დამონტაჟდა, ასევე, ცხურები კონკრეტულ ლოკაციებზე, რაც რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ გააკეთა. რა რეკომენდაციებიც გაიცა, ყველაფერი შესრულდა“, – განაცხადა კახა კალაძემ.

მემორიალთან მღვდელმსახურებმა დაღუპულთა სულების მოსახსენიებელი პანაშვიდი გადაიხადეს. 13 ივნისის სტი-



ბული სიტუაცია. სამწუხაროდ, დავკარგეთ ადამიანები და ქრილობებს, ტკივილს, რომელიც გვაქვს, ვერაფერი მოაშუშებს. ამას უბრალოდ ვეგუებით ადამიანები. ნათელში იყოს მათი სულები. რაც შეეხება სამუშაოებს, იყო რეკომენდაციები საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან, თუ რა უნდა გაკეთებულიყო – ეს იყო განგაშის სისტემა,

ქიდან ოთხი წელი გავიდა. სტიქიის შემდეგ დაიღუპა 21 ადამიანი და დაზარადა ათასობით მოქალაქე. სტიქიამ გაანადგურა საცხოვრებელი სახლები, გზები, ხიდები, გვირაბები, საყრდენი კედლები, საკომუნიკაციო სისტემები. მთლიანად დაიტბორა „მზიურისა“ და ზოპარკის ტერიტორია.

ჰიპოპოტამის ქანდაკების უსკიზები

თბილისის მერიამ 13 ივნისის ტრაგიკულ მოვლენასთან დაკავშირებით, „მზიურში“ ჰიპოპოტამ „ბეგის“ ქანდაკების ესკიზები წარადგინა.

მერიამ ჰიპოპოტამის ქანდაკების ესკიზების შერჩევის მიზნით კონკურსი 3 აპრილს გამოაცხადა, რომელშიც მონაწილეობის მიღება ნებისმიერ მსურველს შეეძლო. კონკურსში სულ 14 პროექტია წარმოდგენილი. გამარჯვებულს თბილისის მერიის სპეციალურად შერჩეული კომისია გამოავლენს და მისი ქანდაკება გმირთა მოედანზე, ზოპარკის მიმდებარე ტერიტორიაზე განთავსდება.



ჭიათურაში 11 საბაგიროს მუშაობა ღრობებით შეჩერდა

„ჯორჯიან მანგანუმი“ გადანყვებილებით, ჭიათურაში 11 საბაგიროს მუშაობა დროებით შეჩერდა, – ამის შესახებ „ჯორჯიან მანგანუმი“ განცხადებაშია აღნიშნული.

„კომპანია შესაბამისი ინსპექტირება სერტიფიცირებულ, კვალიფიციურ ორგანიზაციას დაუკვეთა. მიუხედავად იმისა, რომ კომპანია წლების განმავლობაში საკუთარი რესურსით ახორციელებდა სამგზავრო საბაგიროების მოვლა-პატრონობას, აუცილებელ სარემონტო სამუშაოებსა და ინფრასტრუქტურულ გაუმჯობესებებს, ექსპერტთა მიერ შედგენილმა დასკვნამ ცხადყო, რომ მონყობილობების სიძველიდან გამომდინარე, შესაძლოა, ადგილი ჰქონდეს ფარულ (ვიზუალურად უხილავი) დეფექტებს (ბზარები, ცვეთა, წყვეტა და ა.შ.). შესაბამისად, კომპანია მიიღო გადაწყვეტილება, დაუყოვნებლივ დაამატებთ ჩაატაროს ინს-

ტრუმენტული შემოწმება (დეფექტოსკოპია), რათა სრულად შეისწავლოს ყველა ის გარემოება, რომელიც გავლენას ახდენს მონყობილობების უსაფრთხო მუშაობაზე. ამასთან, ვიდრე კომპანია არ დარწმუნდება, რომ სამგზავრო საბაგიროების მონყობილობები საფრთხეს არ უქმნის ადამიანის ჯანმრთელობასა და სიცოცხლეს, კომპანია აჩერებს თერთმეტივე სამგზავრო საბაგიროს მუშაობას. დამატებითი კვლევის ჩატარება დაახლოებით 20-25 დღეს საჭიროებს. გამომდინარე იქიდან, რომ დღეს ქალაქ ჭიათურაში არსებული საბაგიროები მოსახლეობის, მათ შორის კომპანიის თანამშრომლების გადაადგილების ერთ-ერთი მთავარი საშუალებაა, კომპანია მოქმედა გზა, რომლითაც გარდამავალ პერიოდში მათი ალტერნატიული ტრანსპორტით უფასოდ უზრუნველყოფა მოხდება. აღნიშნულთან დაკავშირებით, „ჯორჯიან მანგანუმი“



მოლაპარაკებები აწარმოა სატრანსპორტო კომპანიასთან, რომელმაც ავტომანქანები უკვე გამოყო და მოსახლეობის მოემსახურება დაიწყო. კომპანია, ასევე, საქმის კურსში ჩააყენა ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერიაც და ითხოვა სამომავლო გეგმის ჩამოყალიბებისათვის სამუშაო შეხვედრის ორგანიზება“, – აღნიშნულია კომპანიის განცხადებაში.

ქენჭისყრა დაწყებულია - ეუსო ევროპის სეპარატისტების იბრძვის

ევროპასა და დანარჩენ მსოფლიოში ადამიანებს ეძლევათ შესაძლებლობა ხმა მისცენ თავიანთ რჩეულებს – იმ ძეგლებსა და პროექტებს შორის, რომლებსაც მიენიჭათ Europa Nostra-ს წლევეანდელი პრემიები.

სიაშია მუცოც – საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე შთამბეჭდავი ციხე-სოფელი, რომელიც დღეშეთის მუნიციპალიტეტში მდებარეობს.

Europa Nostra (ლათინურად „ჩვენი ევროპა“) არის სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ინდივიდთა გაერთიანება, რომელიც ემსახურება ევროპული მემკვიდრეობის შენარჩუნებას. მას იუნესკოს კონსულტანტის სტატუსი აქვს მიანიჭებული.

„სოფელი, რომელიც გამოგნებლად არის მორგებული მიმდებარე ლანშაპს, მასალის ჰარმონიულად გამოყენების წყალობით, X საუკუნიდან იყო დასახლებული. მკაცრმა კლიმატმა, სოფლის მეურნეობისათვის გამოსადეგი მიწის სიმწირემ და უხერო ინფრასტრუქტურამ, წყლის ნაკლებობასთან ერთად, გამოიწვია XX საუკუნის შუა პერიოდში სოფლის დაცლა“, – აღნიშნულია მუცოს შესახებ ტექსტში, რომელიც Europa Nostra-ს ჯილდოს მიანიჭებდასთან დაკავშირებით გამოქვეყნდა. იქვე აქებენ საქართველოში ეროვნული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ინიციატივით 2014 წელს დაწყებულ პროექტს, რომე-

ლიც მუცოს რესტავრაციას ემსახურება.

მუცო სწორედ საუკეთესო სარესტავრაციო პროექტის კატეგორიით დაჯილდოვდა.

Europa Nostra-ს საიტზე ქენჭისყრა, რომელიც ძეგლებს შორის საზოგადოების რჩეულს გამოავლენს, 15 სექტემბრამდე გაგრძელდება.

● **საიტზე შესვლის შემდეგ საშუალება გეძლევათ ხმა მისცეთ სამ სხვადასხვა პროექტს.**

● **პირველი არჩევანი 3 პუნქტს გულისხმობს, მეორე – 2 პუნქტს, მესამე – 1 პუნქტს.**

● **თითო ქვეყნისთვის მხოლოდ ერთხელ არის შესაძლებელი ხმის მიცემა.**

● **არჩევანის გაკეთების შემდეგ დაანკაუნეთ ღილაკზე, რომლითაც თანხმდებით წერილი მიიღოთ ელფოსტით.**

● **ქენჭისყრის ვადა 2019 წლის 15 სექტემბერს ამოწურდება.**

● **ქენჭისყრაში მონაწილეობა მხოლოდ ერთდღე შეგიძლიათ. თქვენს საფოსტო მისამართს არაფის გაუზიარებენ.**

● **შეგიძლიათ დატოვოთ კომენტარი ფაფორიტი პროექტის (პროექტების) შესახებ.**

საზოგადოების რჩეულის გამოვლენის შემდეგ Europa Nostra გასცემს კიდევ ერთ ჯილდოს, „გრან პრის“, თუმცა ამ შემთხვევაში გადაწყვეტილებას იღებს საგანგებო ჟიური. „გრან პრის“ მფლობელს 10 ათასი ევრო ერგება.

სარაგაულის სოფლები ზვარკე და დიდვაკე სტიქიამ დააზარალა

ადიდებულმა მდინარე ზვარკელამ სოფელში ერთი ხიდი მთლიანად წაიღო, ხოლო მეორე დაზიანდა.


ადიდებულმა ლელემ წაიღო კაკიაშვილების ოჯახის პირუტყვის სადგომი. როგორც ნოდარ კაკიაშვილი აცხადებს, რამდენიმე პირუტყვის გადარჩენა შეძლეს, თუმცა პირუტყვის ნაწილი და ფრინველი წყალმა წაიღო.

ნოდარ კაკიაშვილი ხელისუფლებას დახმარებას სთხოვს. სოფელში ასევე დაზიანებულია როგორც მთავარი, ისე შიდა საუნო გზები.

ადგილობრივები აცხადებენ, რომ სოფელში მსგავსი მასშტაბის სტიქია არ ახსოვთ. სარაგაულის მერიის წარმომადგენლის ბესიკ დალალიშვილის განცხადებით, ზარალის შემსწავლელი კომისია მუშაობს და დაზარალებულ ოჯახს ზიანი აუნაზღაურდება.

რაც შეეხება სოფელ დიდვაკეს, მდინარე ჩხერიმელამ წაიღო ხიდი, რომე-

ლიც სოფლის მოსახლეობას სარკინიგზო სადგურთან აკავშირებდა. როგორც ადგილობრივები აცხადებენ, სარკინიგზო სადგურთან ვერც საფეხმავლო და



ვერც საავტომობილო გზით დაკავშირებას ვეღარ ახერხებენ.

დიდვაკეში ასევე დაზიანებულია საავტომობილო გზა. სოფელს ამ დრომდე არ მიენიღებია ელექტროენერგია და წყალი.

ქლიარის წვიმა გორისა და ქარაღის მუნიციპალიტეტების რამდენიმე სოფელში

ბანსაპუტირებით რთული მდგომარეობაა სოფელ ყელქცეულში. ადგილობრივები ამბობენ, რომ წვიმის შედეგად მოსული ნალექი სალათისის სარწყავმა არხმა ვეღარ გაატარა.

სოფელ ყელქცეულში დატბორილია 50-ზე მეტი საცხოვრებელი სახლის სარდაფები და პირველი სართულები.

ადგილზე მუშაობენ სახანძრო-სამშველო ჯგუფები. მიმდინარეობს წყლის ამოტუმბვა.

ადგილზე იმყოფებიან გორის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენლებიც. მერიამ აცხადებენ, რომ სტიქიის დროს სწრაფად მოხდა ნიქოზის კაშხალზე გამშვები ფარების ჩაკეტვაც.

რუსეთის სპეცსამსახურები და მათი ინტერესები საქართველოში ცხადია. გარდა პოლიტიკურისა, რუსეთის მთავარი მიზანია ქართულ ეკონომიკაში დამკვიდრება. სუს-ის 2018 წლის ანგარიშში წერია, რომ საქართველოს წინააღმდეგ მიმდინარეობს „ჰიბრიდული ომის“ მეთოდებით ბრძოლა. ასევე მნიშვნელოვანია სუს-ის ანგარიშის რამდენიმე ქვეთავი, იგივე კონტრდაზვერვითი საქმიანობის, სადაც ვკითხვართ, რომ რუსეთი კვლავ ინარჩუნებს შესაძლებლობას, საქართველოში მოახდინოს ტერორისტული აქტების ინსცენირება.

ანალიტიკოსი აშირან სალუქვაძე აცხადებს, რომ შესასწავლია სხვადასხვა სფეროში რუსული ბიზნესის წილი და რამდენად საფრთხის შემცველია როგორც მთლიანად, ასევე დარგობრივად.



„როგორ შეიძლება, ბოროტი იყოს რუსული ბიზნესი?“

ცეს, საძირკველი ჩაუყარეს. მთავრობამ კი სერიოზული ანალიზი უნდა გააკეთოს, გამოკვეთოს მონაცემები სფეროები, განსაზღვროს ლონისძიებათა ჩამონათვალი, რომლებიც უზრუნველყოფენ სახელმწიფოს ეკონომიკურ უსაფრთხოებას. რუსეთისთვის ენერგეტიკა არის პოლიტიკის შემადგენელი ნაწილი. თავის ენერგეტიკული განვითარების კონცეფციაში უწერია კიდევაც, რომ პოლიტიკური ინსტრუმენტია გავლენის მოპოვების კუთხით. ალბათ, ყურადღება უნდა მიექცეოდეს, თუ რა წილს ფლობს რუსული ბიზნესი გაზის სფეროში – ნავთობში თუ ნავთობპროდუქტებში და რამდენად რისკების შემცველია, მით უფრო ნავთობპროდუქტების საცალო ვაჭრობა.

ნორმალური სახელმწიფოებისთვის პოლიტიკა ეკონომიკისთვის, ანუ კეთილდღეობისთვის. რუსეთში ყველაფერი უკუაქვია, ეკონომიკა პოლიტიკისთვის. რაც შეეხება ნავთობპროდუქტების საცალო ვაჭრობას, როგორც ზემოთ აღვნიშნე, იგი ნაკლებად საფრთხის შემცველი, ვიდრე გაზის ან ელენერჯის მოხმარება, როგორც მოსახლეობის, ასევე კომერციული ობიექტების მიერ. თუმცა, შეზღუდვები აქაც უნდა არსებობდეს და რუსულ ნავთობკომპანიებს არ უნდა მიეცეთ ბაზრის მონოპოლიზების და ბაზარზე სხვა მოთამაშეების ჩაძირვის საშუალება.

– როდესაც ვსაუბრობთ „როსნეფტზე“, რა საფრთხეა მისი შემოსვლა საქართველოსთვის? რამდენად ჩვენ ვიცით, ნავთობის ძიების ინციდენტები უნდა იყოს აფხაზეთის აკვატორიაში.

– პირველ რიგში, უნდა გვესმოდეს, რომ „როსნეფტის“ მხოლოდ 50% ეკუთვნის რუსეთს, კერძოდ „როსნიმუშქესვოს“. დანარჩენი 50% აქციონერების ხელშია. მათგან ყველაზე მსხვილ წილებს, 19,5-19,5% ფლობენ ბრიტანული BP და შვეიცარიული QHG Oil Ventures. თუმცა, კომპანია რუსეთშია განთავსებული, რუსულია, რუსეთის ხელისუფლების კონტროლის ქვეშაა და, შესაბამისად, როგორც ზემოთ თქვენი სავე კითხვაში აღნიშნეთ, პოლიტიკის ინსტრუმენტია. უბრალოდ, დინჯად უნდა გავანალიზოთ, რა ხდება.

ერთია, თუ „როსნეფტი“ ქართულ ბიზნესს შეავიწროებს, მეორეა – თუ რუსეთში მოღვაწე ბიზნესმენების წილების შემცირებით გაზრდის თავის აქტივებს ქართულ ბაზარზე. ჯერჯერობით ვეცნობ კვლევებს. სამსუხაროდ, ჩვენთან საქსპორტის კვლევები როგორც ეკონომიკაში, ასევე ენერგეტიკაში გაფრთხილებულია ვინროპოლიტიკური ინტერესებით და რთულია ობიექტური სურათის დანახვა. თუმცა, რეკომენდაცია ხელისუფლებისთვის უკვე გავაჟღერე და იმავსე გავიმეორებ: მონოპოლიები არ უნდა დავუშვათ.

– სწორედ აქედან გამომდინარე, ჩნდება კითხვა, რატომ შემოგვავსებს გაზი რუსეთიდან, როდესაც აზერბაიჯანს აქვს ყველა რესურსი, რომ მთლიანად დააკმაყოფილოს ჩვენი მოთხოვნილება. გარდა ამისა, ჩვენ ვიცით, რომ შაჰდენიზის პროექტი ფართოდება და იქიდანაც რაღაც გვეკუთვნის. რუსეთის ფაქტორის გამოყენება იმისათვის, რომ აზერბაიჯანიდან რაღაცა მიიღოს, ეს არ არის კონსტრუქციული გზა?

– გასაადვილებლად, როგორც სატარიფო ღირებულებით, ასევე გამოყოფილი კვლით, ჩვენი საჭირო მოხმარების მხოლოდ ნაწილს მივიღებთ. დანარჩენს საკმაოდ დიდ მოცულობაზე არ უნდა არსებობდეს მონოპოლია. რამდენადაც ეკონომიკის მინისტრმა განაცხადა, „გაზპრომის“ გაზით მიქსირება, შერევა ხდება. ალბათ, ამის აუცილებლობა არსებობს.

თუ ისე მივუდგებით, რომ „გაზპრომისთვის“ „ხელის ჩამორთმევა“ არ შეიძლება, მაშინ სატრანზიტო ხელშეკრულება არ უნდა გავაფორმოთ და საერთოდ გავაძვიროთ რუსული ბიზნესი. თუ რაღაც დოზით, იძულებით გვიწევს თანამშრომლობა, მთავარია, ეს დოზა არ იყოს საფრთხის შემცველი. აზერბაიჯანიც უნდა ხედავდეს, რომ სხვა წყარო არსებობს. ეს აუცილებელია არსებული პირობების, როგორც მინიმუმ, შესანარჩუნებლად. მივადევნოთ თვალს. მცირე მოცულობებში საფრთხის ვერ ვხედავ. მთავარია, ზრდის ტენდენციები არ იყოს.

ესაუბრა
თამაზა ძარჩავა

ამ კითხვებს უნდა უპასუხო. შემოშვება ილია, შეზღუდვაა რთული, რადგან ყველთვის იწვევს კონფლიქტს და დაძაბულობას. ხელისუფლებამ უნდა იფიქროს ამ მიმართულებით და მიიღოს გონივრული ზომები. რუსეთის ეკონომიკური ექსპანსიის შეზღუდვა, შეკავება აუცილებელია, ამისათვის უნდა არსებობდეს სხვადასხვა ბერკეტები.

– არის მეორე საკითხი, დაუშვებს კი ხელისუფლება მონოპოლიას, რუსული კაპიტალი ქართულ ბიზნესში რა საფრთხეს უქმნის ქვეყანას, მის ევროატლანტიკურ მიმართუ-

გვაქვს კი თავმოყვარეობა?

ლებას? ვიცით, რომ რუსული კაპიტალის უკან დგას პოლიტიკა და არა ბიზნესი...

– ყველა წარმომავლობის კაპიტალის უკან დგას პოლიტიკა. რუსეთი კი განსაკუთრებით აგრესიულად იყენებს ეკონომიკურ ბერკეტებს. გვახსოვს, უახლეს ისტორიაში რამდენჯერ გამოიყენა ემბარგო როგორც ჩვენს პროდუქციაზე, ასევე სხვა ქვეყნებთან მიმართებაში. საქართველოში, პუტინის შემდეგ, ალბათ, ყველაზე ცნობადი სახე გენადი ონიშენკოა, ერთ დროს რუსეთის მთავარი სანიტარი. ხელისუფლება რუსეთზე ენერგოდამოკიდებულებას არ დაუშვებს. ამ საკითხზე ბევრჯერ იყო საუბარი და გაზვიადება არ ღირს. ოღონდ აქ უნდა დავინახოთ სხვაობა ნავთობპროდუქტების რეალიზებასა და გაზის ან ელენერჯის მოხმარებას შორის.

– რას გულისხმობთ?

– ნავთობპროდუქტები შემოდის აზერბაიჯანიდან, ევროპიდან. რუსეთი არ არის ერთადერთი მომწოდებელი. რაც შეეხება გაზს, აქ ძირითადი მომწოდებელი აზერბაიჯანია. რუსეთის წილი მიზერულია. გაზპრომის ახალი ხელშეკრულების ირგვლივაც ატეხილი აჟიოტაჟი გაზვიადებულია. გაცილებით ცუდადაა საქმე ელექტროენერჯით მომარაგების სფეროში. თუმცა, უკვე მოგახსენეთ, საიდან მოდის ფესვები და უბღლიკაზე ხმაურს სჯობს, დასხდნენ ხელისუფლებასთან ერთად და იფიქრონ ქვეყნის უსაფრთხოებაზე. ოპოზიციონერობა არ ნიშნავს მხოლოდ ხმაურს. ისინიც ხელისუფლებაში არიან, ოღონდ უმცირესობით და ამისათვის ანაზღაურებას იღებენ.

– ვიცით, რომ ელექტროენერჯია სწორედ ის სფეროა, სადაც რუსული კომპანიები და რუსეთის მოქალაქეების მიერ დაფუნდებული კომპანიები ყველაზე ფართოდ არიან წარმოდგენილი ქართულ ბაზარზე. მათ შორის უმსხვილესია რუსული „ინტერრაო“, რომლის აქციონერები რუსეთის ხელისუფლებასთან აფილირებული კომპანიები არიან. „გაზპრომის“ ერთ-ერთი სელმძღვანელი დენის ფედოროვი, გაზის კომპანია „როსნეფტის“ პრეზიდენტი იგორ სერინი და ა.შ. რუსული კომპანიის „ლუკოილის“ შვილობილი კომპანია „ლუკოილჯორჯია“, რომელიც ფლობს 62 ბენზინგასამართ სადგურს და ერთ-ერთი მსხვილი ნავთობიმპორტიორი კომპანიაა საქართველოში. „ლუკოილი“ იმ რუსულ კომპანიებს შორისაა, რომელსაც აშშ-მა და ევროკავშირმა ყირიმის ანექსიის შემდეგ სანქციები დაუწესა. დასავლეთში სანქცირებულმა რუსულმა კომპანია „როსნეფტმა“ „პეტროკას ენერჯი ლიმიტედის“ 49%-იანი წილი შეიძინა, „პეტროკას“ კი ფლობს „გალფს“. გაერცხლებული ცნობით, „პეტროკასი“ აპირებს „ვისოლის“ ან ყიდვას, ან „გალფთან“ „ვისოლის“ გაერთიანებას, რა შეიძლება მოჰყვეს ენერგობაზარზე ასეთ გარიგებას?

– თქვენს კითხვაში, ფაქტობრივად, სრული ანალიზი დევს. არ მინდა, ეკონომისტების სფეროში შევიჭრა და ეკონომიკური ანალიზი გავაკეთო. მე მხოლოდ პოლიტიკურ და უსაფრთხოების ჭრილში გესაუბრებით. რა თქმა უნდა, ეს ტენდენციები რისკების შემცველია. უბრალოდ, იმ პოლიტიკოსებს არ ეთქმით სიტყვა, რომლებმაც ამ ტენდენციებს დასაბამი მის-

თბილისში ღვინის საერთაშორისო გამოფენა გაიხსნა

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა ლევან დავითაშვილმა ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების მე-12 საერთაშორისო გამოფენა WinExpo Georgia 2019 გახსნა.

WinExpo Georgia კავკასიის რეგიონში ყველაზე მასშტაბური გამოფენაა, სადაც წარმოდგენილია ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების წარმოებისთვის საჭირო ყველა კომპონენტი – მევენახეობა-მეღვინეობის მანქანა-დანადგარები, სასუქები, ნერგები, ტარა და შესაფუთი მასალები, აქსესუარები და სერვისების ფართო სპექტრი.

გამოფენაში 12 ქვეყნის 160-მდე კომპანია მონაწილეობს, რომელთა შორის 110-ზე მეტი ღვინის მწარმოებელი როგორც დიდი კომპანია, ისე საშუალო და მცირე მარანი.

საერთაშორისო გამოფენა 13-15 ივნისს საგამოფენო ცენტრში „ექსპო-ჯორჯიაში“ იმართება. WinExpoGeorgia-ს ოფიციალური მხარდამჭერები საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

და ღვინის ეროვნული სააგენტო არიან.

წელს გამოფენაზე პირველად მონაწილეობენ საფრანგეთის საელჩო და საფრანგეთის ღვინის გამოფენის The Wine & Vine Innovation Cluster Inno'Vin-ის ორგანიზატორები. საკუთარ სტენდზე ფრანგი სტუმრები ღვინის აქსესუარებს წარმოადგენენ. გამოფენის ფარგლებში გაიმართება ლონისძიება „ქართული ღვინო და დიდი ბრიტანეთის ბაზარი“, სადაც ბრიტანელი ღვინის პროფესიონალი ტატიანა მანნი ქართველ მეღვინეებს გაუზიარებს გამოცდილებას ბრიტანეთის ბაზრის სპეციფიკასა და ღვინის იმპორტის რეგულაციებზე.

კონკურსის ფიურის შემადგენლობაში ქართულ ღვინის სპეციალისტებთან ერთად საერთაშორისო პროფესიონალები: ტიმ ატკინი (ფიურის თავმჯდომარე, დიდი ბრიტანეთი), კენიჩი ოპაში (იაპონია), ალისტერ კუპერი (დიდი ბრიტანეთი), მარჩელო რეტამოლი (ჩილე), მეთიუ რობერტ ვილკინი (დიდი ბრიტანეთი), გიორგი დაქიშვილი, ნიკა ალდგომელაშვილი და მიხეილ მესხი შედიოდნენ.



საქართველოს სახელმწიფო ინსპექტორის თანამდებობა შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დეპარტამენტის ხელმძღვანელმა ლონდა თოლორაიამ დაიკავა. მის კანდიდატურას პარლამენტში 82-მა დეპუტატმა დაუჭირა მხარი. მომავალი 6 წლის განმავლობაში ლონდა თოლორაია უხელმძღვანელებს სტრუქტურას, რომლის ფუნქცია პერსონალურ მონაცემთა დაცვის მონიტორინგი და სამართალდამცავების მიერ ჩადენილი დანაშაულის გამოძიება იქნება. კერძოდ, სამართალდამცავთა მიერ შესაძლოდ ჩადენილი დანაშაულთა წრე, რომლის განმომძიების კომპეტენციაც სახელმწიფო ინსპექტორს აქვს, არის:

- ნაშვები, ნაშვების მუქარა, დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობა;
- უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება/გადამეტება ძალადობის ან იარაღის გამოყენებით, ან დაზარალებულის ღირსების შეურაცხყოფით;
- ჩვენების მიცემის იძულება;
- სამართალდამცავის მიერ შესაძლოდ ჩადენილი სხვა ნებისმიერი დანაშაული, რამაც გამოიწვია ადამიანის სიცოცხლის მოსპობა, როდესაც მსხვერპლი იმყოფებოდა პოლიციის ეფექტური კონტროლის ქვეშ.

სამართალდამცავთა მხრიდან ჩადენილი შესაძლო დანაშაულის გამოძიების დაწყების მოთხოვნით 2012 წლიდან 2018 წლის ჩათვლით სახალხო დამცველმა პროკურატურას 106 წინადადებით მიმართა. აქედან 55 პოლიციელების, ხოლო 51 ციხის თანამშრომლების მიმართ.

ომბუდსმენის ვარაუდით, ამ შემთხვევებში ადგილი ჰქონდა სამართალდამცავთა მხრიდან არასათანადო მოპყრობას. როგორც სახალხო დამცველის მოადგილე გიორგი ბურჯანაძე გვეუბნება, სამსჯავროდ, ამ საქმეთაგან არც ერთში არ მოხდარა დამნაშავე პირთა იდენტიფიცირება და არავის წარდგინა ბრალი.

კიდევ ერთ მონაცემს აქვეყნებს „კოალიცია დამოუკიდებელი მართლმსაჯულებისთვის“. კოალიციის თანახმად, ბოლო წლების შიდა სტატისტიკით, სამართალდამცავთა მიერ 90-ზე მეტი შესაძლო დანაშაული დაფიქსირებული, თუმცა არც ერთ შემთხვევაში არ დამდგარა სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის პასუხისმგებლობის საკითხი.

რას შეხვლის დამოუკიდებელი მექანიზმი

დამოუკიდებელი საგამომძიებო მექანიზმის ამოქმედების მიმართ მოლოდინი საზოგადოებაში საკმაოდ მაღალია. სამართალდამცავთა დაუსაფრთხოების პრობლემის დაძლევის მიზნით, ქვეყანაში ეფექტიანი და დამოუკიდებელი საგამომძიებო მექანიზმის შექმნას სამოქალაქო სექტორი სახალხო დამცველთან ერთად მრავალი წლის განმავლობაში ითხოვდა. როგორც „ადამიანის უფლებათა სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის“ წარმომადგენელი სოფო ვერძეული გვეუბნება, მთავარი მიზანი, რასაც ამ მექანიზმმა უნდა უზაუსხოს, არასათანადო მოპყრობის საქმეების დროული და ობიექტური გამოძიებაა. მისი განმარტებით, მნიშვნელოვანია ნდობის ფაქტორიც, თუმცა სახეზეა მოცემულობაც, რომელიც ამ ამოცანების სრულფასოვნად შესრულებას შეუძლის ხელს. კერძოდ:

- ინსპექტორს აქვს მხოლოდ გამოძიების და არა სისხლისსამართლებრივი დევნის უფლებამოსილება;
 - გამოძიების პროცესში მას შედამხედველობას ისევ პროკურატურა გაუწევს;
 - შეზღუდულია სამართალდამცავთა შესაძლო დანაშაულის ჩამონათვალი.
- ამ მოცემულობით, „საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველოს“ პროგრამის მექანიზმის გია გვილაძის შეფასებით, სახელმწიფო ინსპექტორის გამოძიების მანდატში ვერ მოხვდებოდა, მაგალითად,
- აზერბაიჯანელი ჟურნალისტის აფგან მუსთარლის გაუჩინარების საქმე, რომელშიც სამართალდამცველთა სავარაუდო პასუხისმგებლობის საკითხი იკვეთება;
 - „ბირჟა მაფისის“ საქმე, როდესაც ორი პირი დააკავეს განსაკუთრებით დიდი ოდენობის ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ შექმნა-შენახვის ბრალდებით. მოგვიანებით პროკურატურამ მტკიცებულებების არარსებობის გამო, მათ მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნა შეწყვიტა.



პოლიციელთა დანაშაული - რას შეხვლის ახალი სახელმწიფო ინსპექტორი?



აჯობებს ლონდა თოლორაია თამარ ქალდანს?!



რა შემთხვევები შექმნიან მიმართოს რეაბილიტაციის სახელმწიფო ინსპექტორს მოქალაქე?

სახელმწიფო ინსპექტორს მოქალაქეს შეუძლია მიმართოს იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ეჭვი, რომ პოლიციამ დანაშაული ჩაიდინა - სცემა მოქალაქეს, გადაამეტა უფლებამოსილებებს და სახეზე გვაქვს დანაშაული. შესაბამისად, სახელმწიფო ინსპექტორის კომპეტენცია ძირითადად სამართალდამცავთა მიერ ჩადენილ ძალადობრივ დანაშაულს მოიცავს და არ ვრცელდება ისეთ დანაშაულზე, როგორიცაა მაგალითად, ნარკოტიკების ჩადება. სა-მოქალაქო სექტორი დანაშაულის წრის გაფართოებას და პასუხისმგებლობის ყველა იმ შემთხვევაზე გავრცელებას ითხოვდა, სადაც ინტერესთა კონფლიქტია სახეზე. მოთხოვნა გაუზიარებელი დარჩა.

განხილავს სახელმწიფო ინსპექტორი გამოძიებას?

პანონის თანახმად, სახელმწიფო ინსპექტორი მხოლოდ იმ დანაშაულებზე რეაგირებს შეძლებს, რომელთაც დამოუკიდებელი საგამომძიებო მექანიზმის ძალაში შესვლის შემდეგ ჰქონდათ ადგილი. თუმცა, პირობითად, შეგვიძლია ჩამოვთვალოთ უახლოეს წარსულში მოხდარი ის საქმეები, რომლებშიც იკვეთება პოლიციელთა შესაძლო დანაშაული და პოტენციურად შეიძლება ყოფილიყო სახელმწიფო ინსპექტორის რეაგირების საგანი:

- ზვიად რატიანის საქმე - 2017 წლის 24 დეკემბერს, საპოლიციო რეიდის დროს, პოლიციამ პოეტი ზვიად რატიანი დააკავა და სცემა. ფიზიკური და-

ზიანებები მას სხეულზე და სახეზე აღენიშნებოდა. პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორმა შეაფასა პოლიციის მხრიდან პირადი მობილური ტელეფონით დაკავებული ზვიად რატიანის თვითნებური გადაღების და შემდგომში ამ ჩანაწერის საზოგადოებრივი მაუწყებლისთვის გადაცემის ფაქტი. ინსპექტორმა ორივე ნაწილში დაადგინა შინაგან საქმეთა სამინისტროს მხრიდან კანონის მოთხოვნების დარღვევა და სამინისტრო ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად ცნო.

● დემურ სტურუას საქმე - სამტრედიის, სოფელ დაფნარში მცხოვრებმა დემურ სტურუამ 2016 აგვისტოში სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა. გარდაცვალებამდე მან წერილი დატოვა, სადაც სამტრედიის რაიონული პოლიციის ყოფილ თანამშრომელს გოდერძი თევზაძეს ზენოლაში ადანაშაულებდა. თვითმკვლელობამდე მიყვანის საქმეზე ბრალდებული პოლიციელი სასამართლომ გაამართლა.

● ამირან კვირიკაშვილის საქმე - ხარაგაულში მცხოვრებმა ამირან კვირიკაშვილმა თავი 2017 წლის 4 ნოემბერს მოიკლა. ოჯახის წევრების ინფორმაციით, თვითმკვლელობამდე რამდენიმე დღით ადრე ის ადგილობრივ პოლიციაში დაიბარეს და ქურდობის გაუხსნე-ლი ფაქტების აღიარებას აიძულებდნენ. გარდაცვალების ძმის არჩილ კვირიკაშვილის თქმით, ხარაგაულის პოლიციაში სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენებით, მის ძმასთან ერთად, ქურდობის ფაქტების აღიარებას მასაც აიძულებდნენ. იმავე წლის დეკემბერში ხარაგაულის პოლიციის უფროსი თანამდებობიდან გაათავისუფლეს.

● არასრულწლოვან თა-ს საქმე - 16 წლის მოზარდი ბოლნისში სამართალდამცველებმა ორი თვის წინ ქურდობისთვის დააკავეს. პოლიციელები მისგან თანამზრახველების დასახელებას ითხოვდნენ, რა დროსაც, მოზარდის თანახმად, მას სასტიკად გაუსწორდნენ. პოლიციელმა კონსტანტინე ქოჩიშვილმა, არასრულწლოვანს წილი ჩაარტყა, სკამიდან გადაადგო და ხელი მოტყვა. დაცვის მხარის თანახმად, დაზარალებულის მიმართ ფიზიკურ ძალადობაში და სექსუალური ძალადობის მუქარაში, მინიმუმ 7 სამართალდამცველი ლეზულობდა მონაწილეობას.

● არასამთავრობო ორგანიზაციების შეფასებით, სახელმწიფო ინსპექტორის მანდატით განსახილველ საქმეთა შორის მოხვდებოდა ასევე გიორგი მიქიაშვილისა და სანდრო გირგვლიანის გახმაურებული საქმეები. პოლიციის მიერ ცემის შედეგად გიორგი მიქიაშვილს რეაქტიული ფსიქოზი განუვითარდა, ხოლო სანდრო გირგვლიანი დაიღუპა.

ამოქმედება თუ არა დამოუკიდებელი საგამომძიებო მექანიზმი 1 ივლისს?

საქართველოს პარლამენტმა 2018 წლის ივლისში მიიღო კანონი სახელმწიფო ინსპექტორის შესახებ. კანონის თანახმად, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური დამოუკიდებელი სახელმწიფო ორგანოა, რომელიც 3 მიმართულებით იმუშავებს; განახორციელებს პერსონალურ მონაცემთა დამუშავების კანონიერების კონტროლს, ფარული საგამომძიებო მოქმედებებისა და ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელ მონაცემთა ცენტრალურ ბანკში განხორციელებული აქტივობების კონტროლს და სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის, მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ სისხლის სამართლის კოდექსის რამდენიმე მუხლით ჩადენილ დანაშაულის მიუკერძოებელ და ეფექტიან გამოძიებას.

1 ივლისს იკვეთება ინსპექტორის სამსახურის ამ უკანასკნელი, ახალი ფუნქციის ამოქმედება, თუმცა კოალიციაში „დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის“ ეჭვობენ, რომ ამ სამსახურის ამოქმედების ვადა კიდევ ერთხელ, მეორედ გადაინებს. „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ თავმჯდომარე სულხან სალაძის შეფასებით, სისტემა სიახლისთვის, პრაქტიკულად, მოუზადებელია როგორც ფინანსურად, ისე ადმინისტრაციულად.

„ფიზიკურად ვერ გამოიძიებს იმიტომ, რომ არც ერთი გამოძიებული არ ჰყავს. როდესაც ახალი ინსპექტორი მივა სისტემაში და არც ერთი ოფისი არ იქნება მოწყობილი. იმიტომ რომ ფინანსური რესურსი არ იყო გაღებული თავის დროზე, რაც თავისთავად ძალიან ცუდია და ერთგვარი შეტყობინებაც არის ხელისუფლებას მხრიდან, რამდენად მნიშვნელოვანია მათთვის ამ ტიპის საქმეების გამოძიება მაშინ, როდესაც საზოგადოებისთვის კრიტიკულად მნიშვნელოვანია.“ - აღნიშნავს სულხან სალაძე. მისთვის საინტერესოა ისიც, რამდენად შეეძლება სახელმწიფო ინსპექტორი ლონდა თოლორაია თავისი ახლანდელი სამსახურისგან, შინაგან საქმეთა სამინისტროსგან და იმ ადამიანებისგან დისტანცირებას, რომელთა საქმეების გამოძიებაც პოტენციურად შეიძლება მოუხდეს სახელმწიფო ინსპექტორის რანგში.

თავად ლონდა თოლორაია ამის პასუხად ამბობს, რომ სისტემის შიგნითაც მაკონტროლებელი ორგანოს ხელმძღვანელია, პოლიციელთა გადაცდომის შესახებ მიმართვების გენერალური ინსპექციაში გაგზავნა ახლაც მისი ვალდებულებაა და ამის კეთილსინდისიერად კეთება არც მომავალში გაუჭირდება: „იქ, სადაც მე ეს არ გამჭირვებია სისტემის შიგნით, ვფიქრობ, რომ არ გამიჭირდება სისტემის გარეთ.“ - აღნიშნა მან. მმართველ პარტიაში კი დარწმუნებულები არიან, რომ სახელმწიფო ინსპექტორის სახით არსებული დამოუკიდებელი საგამომძიებო მექანიზმი გააჭირბეს კითხვებს იმის შესახებ, ობიექტურად იძიებენ თუ არა სამართალდამცავები თავიანთ უწყებაში ჩადენილ შესაძლო დანაშაულებს.

მოქმედ სახელმწიფო ინსპექტორს თამარ ქალდანს უფლებამოსილების ვადა 3 ივლისს ეწურება.

რონა მჭედლიშვილი

ჩვენს წინაშეა გურამ ბათიაშვილის დოკუმენტური ტრილოგია, მეტყველი სათაურით: „საქართველოს ბედისწერა.“ რეჟისორი რომ ვიყო, აუცილებლად დავდგამდი, ოღონდ დილოგიას.

პირველ და მეორე პიესას. ეს არ ნიშნავს, რომ მესამე არ მომწონს. უბრალოდ, მინდა, სპექტაკლიც იქ დასრულდეს, სადაც მეორე პიესა მთავრდება.

სამეფო ოჯახის წევრებს რუსეთში ასახლებენ. ჯარების სარდალი მუხრან-ბატონი კი ასეთ ხვედრს სიკვდილს ამჯობინებს და ხანჯალს გულში ჩაიცემს. უკანასკნელად ამ სიტყვებს წარმოთქვამს:

„ყველას გაჯობებთ, თქვენ მიდისართ, მე აქ ვრჩები... ვრჩები... ჩემს მინაში... ჩემს მინაში... ჩემი ქვეყნა...“ და იქვეა ეს რემარკაც: „მინა მუშტიდან უცვივა“...

აქ დამთავრებაც ხომ მძაფრ ფინალს შექმნიდა, მაგრამ პიესას კიდევ უფრო ტრაგიკული დასასრული აქვს:

„პორუჩიკი (შემოდის). ვაგვიანებთ, თავადო...დავიძრათ...(მუხრან-ბატონს მინაზე შენიშნავს). თავადო, თავადო! (მუხრან-ბატონის ნეშტთან დაიხრება). გა-სა-გე-ბი-ა. არც კი იცის, რა სამსახური გაუნია სამშობლოს... რა უცნაური ხალხია: ან სახე-გაბრწყინებული ცაში უნდა ფრინავდნენ, ან კიდევ აი, ასე...“

მიისმის ქართველი კაცის შეკვივლება, მერე სმადაბალი მოთქმა თუ გოდება. ფარდა.“


რა თქმა უნდა, მუხრან-ბატონის სიტყვებით დამთავრება სასურველი იქნებოდა, მაგრამ თუ რუსის პორუჩიკი ამას იტყვის, უპირატესობა უნდა მივანიჭოთ.

ამას წინათ, რუსთაველის თეატრის მცირე სცენაზე ვნახე გოჩა კაპანაძის სპექტაკლი, რომელიც საქართველოს ისტორიის ამავ უფრო პერსონალურ ეხება.

სპექტაკლს საფუძვლად ისტორიული ქრონიკები უდევს, — გვაუწყებდა აფიშა. ქრონიკები და არა პიესა.

აღბათ, ამიტომ გამოვიდა ასე დაშლილი და ამორფული წარმოდგენა, რომელშიც უდავოდ არის ორიგინალური რეჟისორული სვლები თუ მიგნებები, საკმაოდ საინტერესო მსახიობური ნამუშევრებიც, მაგრამ შედეგი, სამწუხაროდ, მაინც არაადაკმაყოფილებელია.

სიქარტველს ბედისწერა



როდ, მაინც არაადაკმაყოფილებელია. გალაკტიონის ცნობილი სტრიქონების პერიფრაზს თუ მივმართავთ, თითქოს დადგმა, მაგრამ მაინც არ არის დადგმა.

საინტერესოა, რეჟისორს ეს პიესა თუ ჰქონდა ნაკითხული? საერთოდაც, ხომ არ დადგა დრო, როცა ქართველი რეჟისორები სერიოზულად უნდა დაფიქრდნენ და საკუთარ თავ(ებ)ს ჰკითხონ: რას დგამენ და რატომ დგამენ?

იმის ექსპერტად ნამდვილად ვერ გამოვდგები, როგორი სიზუსტით იცავს და მიჰყვება დოკუმენტური ტრილოგია ისტორიულ წყაროებს, მაგრამ ამას ყველა ადვილად შენიშნავს: აქ საქართველოს უკანასკნელი დედოფალი რუს გენერალს არ კლავს. მოკვლას უფლისწული დავითი დაუპირებს, მაგრამ ამის უფლებას კაზაკები არ მისცემენ.

ქალღმერთი საინტერესო იქნება ამის თაობაზე ავტორის კომენტარი.

პირველ პიესაში დიდებული მეფე თამარს რუსზე აქორწინებენ და ამას სამშობლოს ბედნიერების გარანტიად აცხადებენ. მეორე პიესაში რუსეთის იმპერატორი საქართველოს სამეფოს აუქმებს.

პირველი პიესის ფინალში ქართველი დიდებულები სუფრას უსხედან და ომსახიანად მღერავენ. სამეფო დარბაზის მხოლოდ ერთი წევრი არ აპყვება იმათ სიმღერას: „გაოგნებული გაბაონი ერთ წერტილს მისჩერებია“... მეორე პიესა როგორც მთავრდება, უკვე ვთქვით: მოთქმა-გოდებით! ამიტომაც ვისურვებდი დილოგიას...

წარმოვიდგინე კიდევ, როგორ გააცოცხლებდა დიდი მასტრო პიესის ზოგიერთ სცენას, მაგალითად, იმ ეპიზოდს, სამეფო ოჯახის წევრებს რუსეთისაკენ ეტლები რიგრიგობით რომ მიაქროლებენ. კიდევ უფრო ადვილი წარმოსადგენია, თუ რა შთამბეჭდავი იქნება სტურუსთან ბერიკა — მეორე პიესის პერსონაჟი, თითქოს მასხარა, მაგრამ მასხარაზე ბევრად მეტი; იმას კი რაღა წარმოგვინდა უნდა, თუ რა თანამედროვედ გახშიანდებოდა პირველი პიესის ერთ-ერთი პერსონაჟის სიტყვები: „ხალხმა იცის და უნდა იცოდეს, რომ ჩვენ ვართ უმცირესნი, თქვენ კი — უმრავლესნი და ჩვენს შორის დიდი შავი კატები ჩხავიან, ხალხმა ეგრე უნდა იცოდეს, და სიტყვებითაც არა — რა დავაკობთ ერთმანეთს... მხოლოდ სიტყვებითა“...

ისტორიულ თემაზე პიესის წერა დრამატურგს ბევრ საფრთხეს უქმნის. აქ დიდი ძალისხმევა და ოსტატობაა საჭირო იმისათვის, რომ თავი აარიდოს პათეტიკას, სიყალბეს, მაღალფარდოვნებას, სიტყვაუხვობას, სტატიკურობას... გურამ ბათიაშვილის დოკუმენტური ტრილოგიაში ყველა ეს ხიფათი აცილებულია. ამიტომაც გავბედე აქ რობერტ სტურუსს სხენება.

როცა გრიგოლ აბაშიძემ ვრცელი ლექსი „არყოფნისაკენ“ გამოაქვეყნა, მურმან ლებანიძემ უშურველად დაწერა: „შედევი 80 წლის ასაკში.“ კი, შედევი სახიფათო სიტყვაა, მაგრამ ხომ არსებობს უფრო „სმადაბალი“ ეპითეტები?! გურამ ბათიაშვილის კოლეგებსაც არ უნდა გაუჭირდეთ უშურველობის გამოვლინება და 80 წლის დრამატურგის უდავო მიღწევით აღფრთოვანება.

მსურს, გულითადად მივულოცო ბატონ გურამს ეს წარმატება. ვისურვებ, სულ მალე წარმატებული პრემიერა მიმელოცოს... იოსებ ჭუბუკიძე



რომელი კურორტი რა დააპაღებას კურნავს

საქართველოში უამრავი კურორტია, რომელთაც სხვადასხვა დანიშნულება აქვთ

აბასთუმანი სიმაღლე: 1200-1500 მეტრი ზღვის დონიდან



აბასთუმანი ცნობილია გამაჯანსაღებელი ჰავითა და გოგირდოვანი წყლებით, მკურნალობის ჩვენებებია: ფილტვების ტუბერკულოზის სხვადასხვა ფორმა, და მისი თანხლებით მიმდინარე დაავადებები, ტუბერკულოზური ლიმფატები და პლევრიტიები, ქრონიკული ბრონქიტი და ბრონქული ასთმის მსუბუქი ფორმები.

საირმე სიმაღლე: 1100 მეტრი ზღვის დონიდან

საირმეში მდებარეობს დიდი რაოდენობით მინერალური წყალი, ამიტომაც აქ მინერალური წლის აბაზანებით და მიღებით მკურნალობენ, მკურნალობის ჩვენებებია: შარდ-სასქესო დაავადებები, ქრონიკული ნეფრიტი, ცისტაიტი, ქრონიკული პროსტატი, რკინადეფიციტური ანემია, მსუბუქი და საშუალო დონის შაქრიანი დიაბეტი, პოდაგრა, კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულები, პანკრეატიტი და სხვა...




ახტალა



სიმაღლე: 410-430 მეტრი ზღვის დონიდან

ახტალა დაბალი კურორტია, ზღვის დონესთან მისი დაბალი მდებარეობა ახტალაში მკურნალობის ჩვენებებია: გულსისხლძარღვთა და ნერვული სისტემის დაავადებები და სახსრების დაავადებები.

ურეკი



ურეკი კურორტებში ქვიშითაა ცნობილი, ურეკი საუკეთესოა სისლარღვების დაავადებების და ქრონიკული მრავალფეროვანი დაავადებების სამკურნალოდ.

ნოდარ სვიდელიძე <http://intermedia.ge/>

შავი ზღვის სანაპირო ზოლზე მაშველი ქალები იმუშავენ

გომონები ბათუმის საზღვაო აკადემიის სტუდენტები არიან და მათ ფიზიკური მომზადების ნორმატივი უკვე ჩაბარებული აქვთ. ამ ეტაპზე ისინი სეზონის ოფიციალური გასსნისთვის ემზადებიან და წყალზე სამაშველო ღონისძიებების სპეციფიკას ეცნობიან.

აჭარის ტერიტორიაზე, შავი ზღვის სანაპირო ზოლზე უკვე მუშაობს 160-მდე მაშველი. მაშველების რაოდენობა საზღვაო სეზონის გასსნის შემდეგ 250-მდე გაიზარდება, რაც 50-ით მეტია, ვიდრე წინა სეზონის მაშველთა რაოდენობა იყო. სეზონურ მაშველთა შორის იქნება 20-მდე ქალი მაშველი. მათი მოვალეობა იქნება პლაჟზე პატრულირება, საჭიროების შემთხვევაში დახმარების გამოძახება, პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენა და გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში უშუალოდ სამაშველო პროცესში ჩართვა.



ვინ იყო, ვინ არ ვარსხნიდა აზრებს?

სტანისლავ ეში ლევი (1909-1966) თვალსაჩინო პოლონელი პოეტია. ლევის უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ თანამშრომლობდა მეტარცხენულ ჟურნალებში.

1941 წელს მოხვდა საკონცენტრაციო ბანაკში, საიდანაც გა-

იქცა და მონაწილეობდა წინააღმდეგობის მოძრაობაში, შემდეგ იყო დიპლომატიურ სამსახურში. ლექსების პირველი წიგნი – „ფერები“ 1933 წელს გამოიცა.

ლევის პოეზია მორალურ-ფილოსოფიური პრობლემატიკისადმი გულისყურით გამოირჩევა.

დიდი პოპულარობა სვდა წილად პოეტის ავტორიზმების, სენტენციებისა და ეპიგრამების ციკლებს: „დაუვარცხნელი აზრები“ და „ახალი დაუვარცხნელი აზრები“.

ქვემოთ ვთავაზობთ ლევის პოლონურიდან რუსულად მკადმოენების ვლადიმერ როსელისს წერილს.

ამ პრემიუმში თავმოყრილია ფიქრთა ნაყოფი ჩვენი თანამედროვეობისა, რომელიც კრიტიკის სამართლიანი აღნიშვნით, ძალგდება, რომ თვითონაც ეფიქრა და სხვისთვისაც ესწავლებინა ფიქრი, – ეს კაცი სტანისლავ ეში ლევი გახლავთ. თვით ავტორმა ტყუილმხარაოდ წოდებულ უწოდა ამ აზრებს დაუვარცხნელი. ლევი მკითხველებს უბიძგებდა არა „საბოლოო ინსტანციის ჭეშმარიტებებს“, არამედ კაცობრიობის ისტორიის არსებობის ერთ-ერთი ურთულესი ეპოქის მოტივებისა და დაუცხრომელი მონაწილის განსჯებს, ამასთანავე, პირველი ეპოქის, რომელსაც სრული უფლებით შეიძლება რომ ეწოდოს დედამიწაზე მიმდინარე ცვლილებათა მასობრივი სოციალური შეცნობის ერა.

ლევის „დაუვარცხნელი აზრები“, არსებითად აღმგვდილია არა საბოლოო დასკვნები, არამედ უფრო თვითმდინარეობა ცნობიერებისა, მოვლენათა არსის წვდომისა. შემთხვევითი როდია, რომ ამ აზრთაგან ბევრი შეიცავს კითხვას: „რა იქნებოდა, რომ...“ ან „ანდა იქნებ?...“. სწორედ ამან გახადა ეს აზრები აგრეთვე პოპულარული მრავალი ქვეყნის მკითხველთა წრეებში. ლევისთვის მკითხველი დამოძღვრებათა და შეგონებათა ობიექტი კი არა, სრულყოფილი თანამოსაუბრეა, ვისაც უბიძგებთ თავის „დაუვარცხნელ“ აზრებს, უბიძგებთ და ბუნებრივად მართლ იმას კი არ იმედოვნებს, რომ ისინი გაუგებენ ერთმანეთს, არამედ იმასაც, რომ პარტიორმა ესტაფეტა უნდა აიტაცოს, და მაშინ (ერთი ვნახობ!) იშვება ჭეშმარიტება.

ამ ვარაუდის მუხრეობა გამომდინარეობდა უწინარეს ყოვლისა თანამოსაუბრეებთან თანაწროობის უფლებიდან, რომელი თანასწორობაც მან მეგრძობის, მოაზროვნის, პოეტის მიმე, გმირული ბიოგრაფიით მოიპოვა.

სტანისლავ ლევი ე. ლევი 1909 წლის 6 მარტს დაიბადა; ოთხი წლისა უმაჟოდ დარჩა და მავშობა დედის მამულში გაატარა, რომელიც მაშინდელი ავსტრია-უნგრეთის მიწა-წყალზე მდებარეობდა. სწავლობდა გიმნაზიაში, შემდეგ – ლევის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე. სამართლის მაგისტრის მინიჭების მომენტში, ესე იგი 1933 წლისთვის, უკვე გამოცხადდა ლევი ფურტურისტიკური ლექსების პატარა ტომი – „ფერები“. დაბეჭდა რამდენიმე ლექსი ერთ-ერთ მემარცხენე ჟურნალ „ტრიბიზი“ („კომუნისტური“), რომელიც ხელისუფლებამ მეორე ნომრის შემდეგ აკრძალა; პოეტ-კომუნისტ ლეონ პასტერნაკთან ერთად სტუდენტურ საღამოებზე გამოდიოდა; უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ვარშავაში გადასული ლევი იბეჭდებდა რევოლუციურად განწყობილი ინტელიგენციის გაზეთ „მენიკ პოპულარიზმი“ და უწინააღმდეგველად „სიტყვასიტყვით – დომკრატია“, მაგრამ, არსებითად, – „ხელოვნების მარცხენა ფრონტი“ – „ლევიტა არტისტიკა“, ლეონ პასტერნაკთან ერთად აარსებს ლიტერატურულ კაბარეს, შემდეგ კი თანამშრომლობს სატირულ ჟურნალში და ზედიზედ სცემს სატირული ლექსების ორ წიგნს – „ზოი“ (1935) და „პათეტური სატირები“ (1936).

მთელი ამ წლების განმავლობაში ახალგაზრდა მწერალი აქტიურად არის ჩამბული ლიტერატურულ-პროპაგანდისტულ საქმიანობაში, როგორც სატირიკოსი გამოდის საღამოებზე, 1936 წელს კი ვანდა გასილევსკაიასთან, იაროსლავ გალანთან და სხვა მოწინავე ლიტერატორებთან ერთად მონაწილეობს კულტურის მოღვაწეთა ლევის ცნობილი ანტიფაშისტური კონგრესის მუშაობაში... უკრაინის შემოერთებისას ლევი ლევი იმყოფებოდა. იქ უსწრებს პიტრეველთა ოკუპაცია. გერმანელები აპატიმრებენ მწერალს და მავანთან ტერნოპოლის საკონცენტრაციო ბანაკში. ორჯერ სასწაულად გადაურჩა დახვეწას, 1943 წელს კი მან გაქცევა მოახერხა.

სტანისლავ ეში ლევის შემდგომი ბიოგრაფია ფაშისტთან მეგრძობი გმირის ბიოგრაფიაა. 1943 წელს ოკუპირებული რაიონების მოსახლეობისთვის ვარშავის იატაკქვეშეთში სცემს არალეგალურ ჟურნალებს. 1944 წელს მონაწილეობს ლუბლინთან გამართულ პარტიზანულ ბრძოლებში, ლუბლინის გათავისუფლების შემდეგ კი, გამარჯვების დღემდე – უკვე მაიორი ლევი – პიტრეველების წინააღმდეგ პოლონეთის არმიის შემადგენლობაში იბ-


რძვის. გმირობისა და მამაცობისთვის სამშობლომ არაერთგზის დააჯილდოვა ორდენებით, მათ შორის – იმ წლების ერთ-ერთი უმაღლესი ჯილდოებით – პოლონეთის აღორძინების ორდენის კავალრის ჯვრითა და დამსახურების ჯვრით.

აი, რამდენი რამ უნდა გადაეტანა, გადაეღაზა, რამდენი რამისთვის უნდა გაეძლო ლევი, რომ თავის თანამედროვეობისთვის აზრთა გაზიარების უფლებაც მიეპოვებინა და ბუნებრივი ურთიერთგაგების იმედიც გასჩენოდა.

აი, რატომ არის ეს აზრები ასე უშუალო. მათში მთავარი ხომ ფაშისტთან, ყველა ჯურის ტირანიათა, ადამიანის პიროვნებაზე ძალმომრეობასთან ბრძოლა და იმ სოციალური საწყისების დაცვაა, რომლებსაც „აზრების“

დაუვარცხნელი აზრები

ყველათუკი
აქამიანის
სედშია,
ამიციოდ
სშიხარ ონდა
ვიბან დეთ
სედებს



ასე აბობლა სტანისლავ ეში ლევი

ქართულად გადმოაწერა გურამ გოგიავშილა

ავტორი და მისი მკითხველები ემსახურებოდნენ და ემსახურებიან, რომლებსთვისაც მზად იყვნენ სიცოცხლის შესაწირადაც.

თუმცა, ცხადია, ამ აზრების უშუალოების მიზეზი მხოლოდ ეს არ არის. ერთ ინტერვიუში ლევი იხუმრებს: „ერთი ჩემი ნაცნობი ამტკიცებდა, თითქოს... მე მანქანა მქონდეს, რომელსაც მინიდან გამოსვლის წინ ვქოქავ, და ისიც აცხობს ამ ჩემს „დაუვარცხნელ“ შესაძლოა, მაგრამ იმას კი ხაზგასმით ვიტყვი, რომ ამ მანქანის კონსტრუქტორი მე გახლავართ“.

საქმეც ეს არის! ლევი პირველი ლევი 1929 წელს დაბეჭდა, პირველი „დაუვარცხნელი აზრები“ – 50-იანი წლების შუა ხანებში. დაახლოებით 30 წელი დასჭირდა პოეტსა და სატირიკოსს იმისთვის, რომ „დაუვარცხნელი აზრების“ შემქმნელი გამბდარიყო, შეეშუშებინა საუკუნთა კონსტრუქციის (უმრჯაველად!) ლაკონიური, ღრმად დიალექტიკური განსჯისა, რომელიც ყველა შემთხვევაში პოეტური, უშუალო, ემოციური ფორმით არის გამოხატული. ჭეშმარიტად, თვით „დაუვარცხნელი აზრების“ ავტორის სიტყვით რომ ვთქვათ, „დაიფიქრდი, სანამ იფიქრებდი!“

მოსახლენი კი უკვე მოხდენილი იყო. და „დაუვარცხნელი აზრების“ ორმა კრებულმა, რომლებიც ავტორის სიცოცხლეში ორჯერ – 1957 და 1966 წლებში გამოვიდა, კრიტიკის და მწერლის მეგობარ ლიტერატორთა თვალშიც კი შეავიწროვა სხვა ყველაფერი, რაც მანამდე ჰქონდა შექმნილი პოეტ ლევი, ფილოსოფიური ლირიკის დახვეწილ ოსტატს, მწიყნაღვე პოლონური ფრაზის ადორნიმენტის, ორიგინალური, თავისებურად პარამონიული „მიკროპოემების“ ავტორს. არადა, უკანასკნელი ოცი წლის მანძილზე მან გამოცხადდა ლექსების ათი წიგნი და მათ შორის ციკლი პარტიზანულ ბრძოლებზე – „საველი ბლოკნოტი“ (1946), ლექსებისა და პოემების კრებული – „ახალი ლექსები“ (1950), „ძიების განცხადება“ (1963), და „პამპულოზა მომეპრიადა“ (1959). „ყველა იმისი ნაწარმოები გამოირჩეოდა, – როგორც სამართლიანად წერდა პოლონელი კრიტიკოსი რიზარდ მატუევიკი, – განსაკუთრებული, ინდივიდუალური, ზუსტი და მრჩინვალე სტილით, ტექნიკური ვირტუოზობითა და ლექსიკის სიმდიდრით“.

წლების შემდეგ, როცა ლევის მიერ განვილი გზის თვალის გადავლევს, კრიტიკოსებისთვის ნათელი გახდა, რომ ლევის ლირიკაც, სატირიკაცა და ფრაზებიც (განსაკუთრებით ფრაზები!), თითქოს თავისებური და განუწყვეტელი მზადება იყო „აზრების“ შესაქმნელად, განუწყვეტელი ვარჯიში გონებისა და გრძნობების იდეების ემოციურ-პოეტური ფორმით ჩამოსაქნელად.

ფიქრობ, მორალურ-ფილოსოფიური და ლიტერატურული მოვლენა, რასაც სტანისლავ ეში ლევი შექცია, მთელი სიმალლით წარმოგვიდგენს მე-20 საუკუნის დამახასიათებელ ერთ უმნიშვნელოვანეს კანონზომიერებას – კოლოსალურ ძვრას აზროვნების დემოკრატიზაციის მიმართულებით.

დღეს ხალხის მასები პოეტნიკური თანამოსაუბრეის არიან ყოველი ფილოსოფოსისა, პუბლიცისტისა, მეცნიერისა, პოეტისა, ვინც კი გადაწყვეტს ამ მასებთან საუბარს.

მაგრამ ხალხს იმაზე უნდა ესაუბრო, რაც აღევლავს, და ისე უნდა ესაუბრო, რომ აიყოლიო. აზროვნების ყოველი სფეროს მოღვაწე ჩვენს დროში ხალხთან ურთიერთობის საკუთარ ფორმებს ეძიებენ. ლევი თავისი „დაუვარცხნელი აზრებისთვის“ ასეთი ფორმა მონახა.

ეს ფორმა მჭვირვალი და გასაგებია, აზრი სადა სიტყვებით არის ხორცშესხმული, წიგნური გამოთქმები აქ მონარჯებულა მხოლოდ როგორც ობიექტი ირონიისა, როგორც ერთ-ერთი ფუყე სტერეოტიპი. სამაგიეროდ, მალალი სატირული პოეტნიკალი ანიჭებს ამ აზრებს სიმძაფრესა და სიმწვავეს. ლიტერატურული ქსოვილის სრულყოფილებამ და ჭეშმარიტმა პოეტობამ კი განაპირობა, რომ

ლევის მრავალი მაქსიმა დროთა განმავლობაში მოსწრემულ გამოთქმად ქვეყლიყო პოლონეთშიც და ყველა სხვა ენაშიც, რომლებზეც კი ისინი გადაეწერა.

მაგრამ, უწინარეს ყოვლისა, „დაუვარცხნელი აზრები“ წარმატება მინც ფილოსოფიურმა სიღრმემ მოუტანა. აქ ავტორი კლასიკური ავტორისტიკის ტრადიციის განგრძობს. ეთიკური და სოციალური სისავსე მრავალ იმის მაქსიმას ყველა დროისთვის ფასეულ ქმნილებად ხდის. ამასთანავე, არჩეულ უანრში ლევის თაოსნობა უეჭველია. ისტორიის თანადროულ ეტაპზე სამყაროს განვითარების ტენდენციებისა და კანონზომიერების, მოვლენებისა და ამგვების გულისგულში წვდომა, – აი, არსებული ტრადიციისგან განსხვავებით, რა ახასიათებს თვალმისაცემად იმის განსჯათა უმეტესობას. დიახ, ლევის მიერ მონახული ფორმა აზრის გამოთქმისა, მომხიბვლელი სასაუბრო ინტონაციებით, სიტყვის მრავალმნიშვნელოვნების სატირული გათამაშებით, ყოფითი, ბიურკოკრატიული და სხვ. შტამპების პარადოქსული დასაშვლებით, – იმდენად მოქნილი გამოდგა, რომ თანამედროვეობის მთელი თავისი კონკრეტულობითა და რეალურობით

იტევს. სწორედ აქედან მოდის მრავალი გამოთქმის „კითხვიანობა“, იმ უამრავი მიმდინარე პროცესის დაუმთავრებლობის კონსტატაცია, რომელთაგან ჯერ, როგორც ჩანს, შეუძლებელია საბოლოო დასკვნების გამოტანა და აქედან მოდის მთავარი – დაუცხრომელი მოწოდება ფიქრისკენ, განსჯისკენ, იმის გააზრებისკენ, რაც ხდება. შემთხვევითი რომარდ მატუევიკი წერდა, რომ „დაუვარცხნელი აზრების“ ციტირება უფრო ადვილია, ვიდრე იმათი გაანალიზება. კაცმა რომ თქვას, არც პოეტის თანამოსაუბრეობა გახლავთ იოლი. მან ერთ მაქსიმაში თავის აუდიტორიაზე ასე იხუმრა: „ერთხელ მკითხველის ასეთი წერილი მივიღე: „კაცმა თქვენი ავტორიზმის რომ გაიგოს, ნაკითხი უნდა იყოს“. „აბა, როგორ!“ – მაშინვე ვაფრინე პასუხი! მაგრამ რაც ნამდვილად ძნელი საქმეა, ეს ლევის გადმოწევა გახლავთ. მკითხველის წინაშე თითქოს სულ ცოტა ორი ლევი მინც დგას – თვით პოლონური დედნის ავტორი და იმისი განსხვავება სხვა ენაზე. მაგდმონენებელი ხომ „დაუვარცხნელი აზრების“ ავტორთან მოსაუბრეა. მაგრამ განსხვავებით სხვა ნებისმიერი მკითხველისგან, ვისაც ლევის ამა თუ იმ მაქსიმის წაკითხვის შემდეგ შეუძლია, რომ უზრალიოდ ყური არ შეიგრტყოს და გაჩუბდეს, მაგდმონენებელმა ყოველი მათგანი თავის ენაზე უნდა ჩამოქნას, და თუ მაქსიმამი, ვთქვათ, სიტყვები თამაშობენ, – ლევის მაქსიმებში კი სიტყვების თამაში ხშირია, – მაგდმონენებელმა უნდა აითვისოს პოეტის თამაშის წესები, რათა შემდეგ თავის ენაზე, შესაძლოა, სულ სხვა სიტყვების თამაშით, იგივე აზრი შეძლებისდაგვარად ისევე მძაფრად, მკაფიოდ, პლასტიკურად გადმოსცეს.

ამ თხუთმეტი წლის მანძილზე „დაუვარცხნელი აზრები“ ნაწილ-ნაწილ ოცდაათზე მეტჯერ არის გამოქვეყნებული ჟურნალ-გაზეთებში. ბუნებრივია, ისინი ბოგჯერ არ ემთხვევა ერთმანეთს, მაგრამ ფაქტია: ლევის მეფრი სენტენცია ჩვენში უკვე მოსწრემულ გამოთქმებად არის ქვეული. მკითხველი, რუსულად მაგდმონენების მეფხებით, დღეს უკვე იცნობს ლევის დაახლოებით ათას რეაას „დაუვარცხნელ აზრს“. ყველაზე სრულად ისინი თავმოყრილია „პროგრესის“ მიერ 1978 წელს მოსკოვში გამოცემულ კრებულში.



...რბ თამაშები მიმდინარეობს ანაკლიის პორტის გარშემო და ანაკლიის თემასთან ხომ არ გადაიჯაჭვა ამერიკულ-ჩინური და-პირისპირება?! ამის შესახებ For.Ge-ს თბილისის საკრებულოს ყოფილი დეპუტატი, ანალიტიკოსი სოსო მანჯაშიძე ესაუბრა.

— შპს ზღვაში საქართველოს პირველ ნავსადგურს — ფოთის პორტს ანაკლიის სახით ახალი კონკურენტი უჩნდება. ფოთელიები შიშობენ, რომ ანაკლიის პროექტი სერიოზულ საფრთხეს შეუქმნის ფოთში სატრანსპორტო ბიზნესის წარმოებას და ანაკლიის პორტის მშენებლობის გამო შესაძლოა, შემცირდეს ფოთის პორტის ტვირთბრუნვა. ფოთის ღრმანწყლოვანი პორტი თუ ანაკლია — რომელი უფრო მნიშვნელოვანია საქართველოსთვის?

— ფოთის პორტი უკვე დიდი ხანია, ჩამოყალიბებული პორტია და რეგიონისთვის უმნიშვნელოვანესი და სტრატეგიული მნიშვნელობა ენიჭება. არასწორად მიმაჩნია, რომ, გინდა თუ არა, ანაკლია უნდა აშენდეს, რადგან კონსტიტუციაში რატომღაც ჩანს, რომ „ანაკლიის პორტი“. მაინტერესებს, ანაკლიის ღრმანწყლოვანი პორტი პორტია და ფოთის ღრმანწყლოვანი პორტი არ არის პორტი? ეს ხომ გაუგებარია.

— როგორც ჩანს, თქვენ ფოთის პორტის განვითარების იდეას უფრო ემხრობით, რადგან ის უკვე გაკეთებული და აშენებულია?

— მე ალ ვეზირობი იმას, რომ სახელმწიფომ აიღოს ვალდებულება იმის შესახებ, მისცეს გარანტია ინვესტორებს, თავად მოიზიდოს ტვირთები მაშინ, როდესაც, ჩემი ინფორმაციით, არანაირი წინასწარი შეთანხმება რომელიმე მხარესთან ტვირთების მიწოდების შესახებ, მაშინ კეთილი ინებოს სახელმწიფომ და ხალხს უთხრას რეალობა. ბოლოს და ბოლოს, ეს არის უზარმაზარი ინვესტიცია, ანაკლიისთვის სახელმწიფომ დახარჯა 300 მილიონი ლარი, რაც საქართველოსთვის ძალიან დიდი თანხაა.

— როგორც ამბობენ, ამერიკელებს არ უნდათ ჩინური გრანდიოზული ინვესტიციის შემოსვლა საქართველოში და სწორედ მათ ინტერესში იყო ჩინელების დაბლოკვა. თქვენც ასე ფიქრობთ, რომ ამერიკა შორს იხედება, რადგან ჩინეთის ეკონომიკა მძლავრობს და ამერიკელებს არ სურთ, საქართველოში შემოიშვან ჩინური მძლავრი ინვესტიცია?

— ამ ეტაპზე რომ ამერიკა-ჩინეთს შორის სავაჭრო ომი მიმდინარეობს და ისინი გეოპოლიტიკური მოწინააღმდეგენი არიან, ეს ყველასთვის ცნობილია. ცხადია, ამერიკა ეჭვით უყურებს ჩინეთის აბრეშუმის გზის პროექტს. აქ მთელი წინააღმდეგობები, გეოპოლიტიკური დაპირისპირებებია. რისთვისაც არის აბრეშუმის გზის პროექტი და რატო-

აბერძენელები არ დაუშვებენ, კავკასიაში ჩინეთი გაბატონდეს

მაც აქვს ამას ჩინეთისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა, ეს დიდი გეოპოლიტიკური თამაშია. აქ მთავარია, ჩვენ რა პოზიციაში აღმოვჩნდებით ამ გეოპოლიტიკური თამაშების პირობებში, ხომ არ აღმოვჩნდებით ისეთ მდგომარეობაში, რომ შეგვჩვენოს ვალი, ტყუილად დახარჯული ფული და შეცვლილი გეოგრაფია. მოგესხებათ, ანთროპოგენური ზემოქმედება გარემოზე უზარმაზარია ანაკლიასთან მიმართებით. ამიტომ ანაკლიის პროექტს უნდა ჰქონდეს შესაბამისი დასაბუთება და ნათელი ხედვა ჩვენი ქვეყნის მოსახლეობისთვის, რომ ხალხს ექნება ამისგან კონკრეტული მოგება. არა ისე, რომ აღმოვჩნდეთ სრულიად გაუგებარ სიტუაციაში, პუშკინის ზღაპრის მოხუცებულებისა არ იყოს, მხოლოდ გატეხილი ძველისძველი ვარცლი შეგვჩვენებს. ნუთუ ისეა საქმე და იმდენი ტვირთებია, რომ ფოთში თუკი ღრმანწყლოვანი პორტი იქნა, ვეღარ გაიყოფენ ამ ტვირთებს? ან რამდენია ეს ტვირთები, რამდენს ელოდებიან, ვისთანაა მოლაპარაკება დანებებული? ეს კომერციული საიდუმლოებაა? სინამდვილეში, 2020 წელს არ უნდა გახსნილიყოს ანაკლიის პორტი?!

— თქვენ ახსენებთ დიდი პოლიტიკური თამაშები აბრეშუმის გზასთან მიმართებით. ჩინელების დაინაწილება რამდენად სასიფათო იქნება რეგიონში?

— მოგესხებათ, მსოფლიოს ცენტრი, როგორც ფინანსური, ისე პოლიტიკური თვალსაზრისით, კარგა ხანია, უკვე იხადება აზია-წყნარი ოკეანის რეგიონში. სწორედ იქ არის კონცენტრირებული დედამიწის მოსახლეობის ძალიან დიდი ნაწილი, ეს

რაიონი უზარმაზარია არა მარტო მოსახლეობით, არამედ ეკონომიკური პოტენციალით და ამ რეგიონს დომინანტად განიხილავს შერეული შტატები. ჩინეთი თავისი ისტორიული სპეციფიკიდან გამომდინარე, დამოკიდებულია სწორედ ამ რეგიონზე, იგივე ყვეთელი ზღვის რეგიონზე. საერთოდ, ჩინური გეოპოლიტიკა არის ციხე-სიმაგრის გეოპოლიტიკა. ერთადერთი მოწყვლადი ადგილი ჩინეთს აქვს სრუტეები, საიდანაც ხორციელდება ჩინური საქონლის ექსპორტი. ამ რეგიონში ჯერჯერობით ზღვაზე ბატონობს შერეული შტატები. სიტუაციის გამწვავების ნებისმიერ მომენტში ამერიკას შეუძლია გადაკეტოს სრუტეები. ახლა ჩინეთი ცდილობს, გათავისუფლდეს ამ პარა-

დიგმისგან. ამავე დროს, მსოფლიო ეკონომიკაში ინტეგრირებულია ჩინეთის სწორედ ეს ნაწილი. ჩვენ რომ გადავინაცვლოთ ჩინეთის სიღრმისკენ, ეს სხვაობა განვითარებული ინდუსტრიული მსოფლიოს სახელოსნოდ ცნობილ ჩინეთის სამხრეთ-აღმოსავლეთსა და შიდა ჩინეთს შორის უზარმაზარი იქნება. ვიღაცას ჰომოგენური ჰგონია ჩინეთი, სინამდვილეში, იქ უზარმაზარი წინააღმდეგობებია. შესაბამისად, ჩინეთი ცდილობს, გააკეთოს ერთგვარი ნახტომი დასავლეთისკენ, მოახდინოს როგორც თავისი რეგიონების, ასევე, შუა აზიის რეგიონის ათვისება და გახდეს ცენტრალური მოთამაშე ევროპასთან ვაჭრობაში, ანუ ეს გლობალური ევრაზიული პროექტია, რომელშიც ჩვენც მოვიზარებთ, როგორც ერთ-ერთი ვარიანტი.

— ექსპერტების გათვლით, ჩვენი ჩართვა აბრეშუმის გზის პროექტში მნიშვნელოვანია თუნდაც იმიტომ, რომ რუსეთს მოეჭრას გზა, ჩვენს წინააღმდეგ აგრესია განახორციელოს. თუკი ჩვენი ჩინეთის არეულში მოგვხვდებით, საქართველოსთვის რა შეიცვლება?

— ჩვენი ექსპერტები ისე განიხილავენ ვითარებას, გვეჩვენება, რუსეთს ეძინოს. სინამდვილეში, რუსეთს არ სძინავს და ამაში ჩვენ არაერთხელ დავრწმუნდით. ცხადია, რუსეთსა და ჩინეთს შორის აღარ არის ის დამოკიდებულება, როგორც იყო ოსებზე სტალინის დროს, როდესაც ჩინეთი განიხილებოდა უმცროს ძმად და საბჭოთა კავშირი უფროს ძმად. უზარმაზარი როლი შეასრულა საბჭოთა კავშირმა ახალი ჩინეთის ჩამოყალიბებაში, ეს იყო კოლოსალური წვლილი. ახლა ასე არ არის, ახლა უმცროს

ძმად რუსეთი განიხილება, მაგრამ ჩვენ არ უნდა დაგვავინწყდეს, ეკონომიკების მოცულობებს შორის განსხვავების მიუხედავად, ჩინური ეკონომიკა გაცილებით დიდია რუსულ ეკონომიკასთან შედარებით. თუმცა რუსეთს შენარჩუნებული აქვს ძალიან ძლიერი იმპერიული ინსტრუმენტები — სადაზვერვო, სტრატეგიული, სამხედრო პოტენციალი. ამასთან, რუსეთს საერთაშორისო არენაზე ბრძოლის უდიდესი გამოცდილება აქვს. ამ შემთხვევაში არაპროპორციულია ეკონომიკები, მაგრამ ტერიტორია, რუსურები და პოლიტიკური წონა რუსეთს ძალიან დიდი აქვს და ანგარიშგასასწავი ძალაა ჩინეთისთვის. ამიტომ მათი პარტნიორობა უნდა განვიხილოთ, როგორც მონინაალმდეგების პარტნიორობა. ეს ყოველთვის ასეა, რადგან არ არსებობს მარადიული მეგობრები, მით უმეტეს, გეოპოლიტიკაში. ჩინეთი და რუსეთი ახლა დროებით პარტნიორობენ, სანამ მათი ინტერესები დრამატულად არ დაუპირისპირდება ერთმანეთს. ამ შემთხვევაში, საქართველოს მარშრუტის არჩევა ჩინეთის მიერ ჯერჯერობით არ არის გადაწყვეტილი ამბავი.

ჩინეთი, რა თქმა უნდა, მაქსიმალურად ცდილობს, აბრეშუმის გზის დივერსიფიცირება განახორციელოს, ის უზარმაზარ ფულს დებს ამ გრანდიოზულ პროექტში და შეეცდება, ჰქონდეს თავისი კონტროლი სულში. ჩინეთი ცდილობს, ისე გაიყვანოს ეს გზა, რომ შუა აზიის არ აუქციოს გვერდი, რომელიც უზარმაზარი რეგიონია და ჩინეთთან არის დაკავშირებული თუნდაც უსაფრთხოების თვალსაზრისით, რადგან ესაზღვრება ჩინეთის სინძიანის პროვინციას, სადაც უილურები ცხოვრობენ. ამ რეგიონს ჩინეთისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან ერთადერთი რეგიონია, სადაც მუსლიმანები ცხოვრობენ და დესტაბილიზაციის ერთ-ერთი საფრთხის შემცველი რეგიონია. გარდა ამისა, ისეა აგებული ეს მარშრუტი, რომ მაქსიმალურად გაანეიტრალოს რუსეთის მიერ თავისი ინტერესების ლობირება. ამიტომ ილუზია, რომ რუსეთი შეეგუება, თამაშაერედ დატოვონ ამ პროექტში, არ არის რეალისტური. ამის დასტურია თუნდაც წინარე პერიოდი, ანუ ცნობილი აჟიოტაჟი ბაქო-ჯეიჰანთან დაკავშირებით.

— ეს ფაქტი უკვე შევსადა, როგორც საქართველოს იგნორირება აზერბაიჯანის, თურქეთისა და რუსეთის მხრიდან.

— რუსეთი არ დაუშვებს, დარჩეს ნამცხვრის ნაჭრის გარეშე. ამ ეტაპზე რუსეთის იზოლირება შეუძლებელია, რადგან რუსეთის თვალსაზრისით ეს განიხილება, როგორც მტრული აქტი და მტრული აქტის შემთხვევაში რუსეთს გააჩნია ისეთი ინსტრუმენტები, რაზეც მე ვილაპარაკე: უფრო მეტიც, რუსეთს ისიც შეუძლია, ეს პროექტი ჩაშალოს. ეს ძალიან რთული პროცესია, ჩვენი ამოცანა უნდა იყოს, რომ ტვირთების ნაწილმა ჩვენზე გამოიაროს, ამავე დროს, უნდა შევეცადოთ, დიდი მოთამაშეების გეოპოლიტიკურ თამაშებში არ გავივსოთ. რაც შეეხება ამერიკელებს, საქართველოსთან დაკავშირებით მათი პოლიტიკური გავლენა გადამწყვეტია. რა თქმა უნდა, ამერიკელები არ დაუშვებენ, მათ გარეშე რაღაც შეიცვალოს საქართველოში და ჩინეთი გაბატონდეს კავკასიაში.

მანანა ნოზაძე

ჩინური კომპანიების წინააღმდეგ სანქციები საქართველოშიც აისახება

ჩინეთის სახელმწიფო სამშენებლო კომპანიას, რომელიც საქართველოში ერთ-ერთ მასშტაბურ ინფრასტრუქტურულ პროექტზე მუშაობს, თაღლითობისთვის 9 თვით აკრძალა მსოფლიო ბანკის ტენდერებში მონაწილეობა. ემუქრება თუ არა ეს სანქცია აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული მაგისტრალის დერეფნის პროექტს? შეზღუდვა ვრცელდება:

- შპს „ჩინეთის რკინიგზის სამშენებლო კორპორაციაზე“ (CRCC);
- მის შვილობილ კომპანიებზე — „ჩინეთის რკინიგზის 23-ე ბიუროს ჯგუფს“ (CR23) და „ჩინეთის რკინიგზის სამშენებლო კორპორაციას“ (CRCC საერთაშორისო);
- CRCC-ის კონტროლირებულ კიდევ 730 კომპანიაზე.

„ჩინეთის რკინიგზის სამშენებლო კორპორაცია“ მონაწილეობდა მსოფლიო ბანკის ტენდერში, რომელიც საქართველოში სავაჭრომობილ გზის ერთ-ერთი მონაკვეთის მშენებლობაზე გამოაცხადა.

მსოფლიო ბანკის ცნობით, წინასწარი კვალიფიკაციისა და ფასის შეთავაზების ეტაპებზე კომპანიებმა CR23-ის პერსონალი და აღჭურვილო-

ბა, ასევე, ჯგუფის გამოცდილება გაასაღეს, როგორც CRCC-ის. ეს მსოფლიო ბანკის ადმინისტრაციული სანქციების სისტემაში აღიქმება როგორც თაღლითობა და სწორედ ამის გამო დაისაჯნენ ჩინური კომპანიები, რომელთაგან ერთ-ერთი საქართველოში 2015 წლიდან აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული მაგისტრალის დერეფნის პროექტზე მუშაობს.

ამ პროექტის ღირებულება 4164 მილიონია, საიდანაც 4140 მილიონის ოდენობის სესხი საქართველოს მსოფლიო ბანკმა გამოუყო. პროექტი რომელიც 4



წლის წინ დაიწყო 2023 წელს უნდა დასრულდეს. რაც გულისხმობს ხიდების, გვირაბების, სარკინიგზო მაგისტრალისა და გზების მშენებლობას.

ჩინეთის რკინიგზის 23-ე ბიუროს ჯგუფი ასევე მუშაობს თბილისი-მახინჯაურის მთავარი სარკინიგზო მაგისტრალის მოდერნიზაციის პროექტზე. 2018 წლის დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიამ დაასრულა ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების 86%. ამასთან, მსოფლიო ბანკის აკრძალვა ესემა მხოლოდ 5 ივნისის შემდეგ გამოცხადებულ ტენდერებს, მიმდინარე პროექტებზე კი ჩინური კომპანიები მუშაობას განაგრძობენ.

„ეს კომპანია ვეღარ მიიღებს მონაწილეობას 9 თვის განმავლობაში იმ ახალ ტენდერებში, რომელსაც მსოფლიო ბანკი გამოაცხადებს. ამასთან ერთად, ეს და მასთან აფილირებული კომპანიები ვალდებული იქნებიან, კვლავ გააგრძელონ ყველა ის ურთიერთობა და იმ ვალდებულებების შესრულება, რომელიც ჰქონდათ აღებული წინასწარი ხელშეკრულების საფუძველზე“, — განაცხადა ინფრასტრუქტურის მინისტრმა.

თორნიკე მანდარია

საიდან, როდის და როგორ მოხვდა წყალი დედამიწაზე

დედამიწა უნიკალურია მზის სისტემაში, იგი წარმოადგენს ერთადერთ კლდოვან პლანეტას, რომელსაც დიდი ოდენობით წყალი და შედარებით დიდი მთვარე აქვს, რომელიც ასტაბილურებს დედამიწის დახრის სიხშირეს და სავსებით ღრმად მათგან გადამწყვეტია სიცოცხლის განვითარებისთვის.

ახალი კვლევის ფარგლებში, გერმანიის მიუნსტერის უნივერსიტეტის პლანეტოლოგები მივიღენ დასკვნამდე, რომ დედამიწაზე წყალი 4,4 მილიარდი წლის წინათ, მთვარის დაბადების დროს მოვიდა. მთვარე წარმოიქმნა დედამიწასთან მარსის ზომის პლანეტური სხეულის, სახელად თეიას შეჯახების შედეგად. ამ დრომდე მეცნიერებს მიაჩნდათ, რომ თეია შიდა მზის სისტემაში, დედამიწის სიახლოვეს მოძრაობდა. თუმცა, როგორც მიუნსტერის უნივერსიტეტის ახალი კვლევა უჩვენებს, თეია მზის სისტემის გარე ნაწილიდან მოვიდა და დედამიწაზე დიდი ოდენობით წყალი მოიტანა.

დედამიწა დაიბადა მზის სისტემის შიდა, „მშრალ“ ნაწილში და, შესაბამისად, გარკვეულწილად უცნაურია, რომ ჩვენს პლანეტაზე წყალი არსებობს. ამ უცნაურობაში კარგად გასარკვევად საჭიროა დროში უკან გადასვლა, იმ პერიოდში, როცა მზის სისტემა დაიბადა, 4,5 მილიარდი წლის წინათ. როგორც დარეუთ კვლევებიდან ვიცით, მზის სისტემა ისე მოეწყო, რომ ერთმანეთისგან განცალკევდნენ „მშრალი“ და „სველი“ მასალები. ე. წ. კარბონატული მეტეორიტები, რომლებიც შედარებით მდიდარია წყლით, გარე მზის სისტემიდან მოვიდა, არაკარბონატული მშრალი მეტეორიტები კი შიდა მზის სისტემიდან. წინა კვლევები მიუთითებდა, რომ დედამიწაზე წყალი სწორედ კარბონატულმა მეტეორიტებმა მოიტანა, მაგრამ უცნობი რჩებოდა, როდის და როგორ მოხვდა დედამიწაზე ეს მეტეორიტები და მათი წყალი.

კვლევის ავტორის ჯერით ბადის განმარტებით, ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად მათ მოლიბდენის იზოტოპები გამოიყენეს. ამ იზოტოპების საშუალებით მათ შეადგინეს განსხვავებული მანეთისგან კარბონატული და არაკარბონატული ნივთიერებები. შესაბამისად, ხელში ჩაუვარდათ გარე და შიდა მზის სისტემიდან მოსული მასალების „გენეტიკური ანაბეჭდი“.

მიუნსტერის უნივერსიტეტის მკვლევართა მიერ ჩატარებული ანალიზები აჩვენებს, რომ დედამიწაზე მოლიბდენის იზოტოპების შემადგენლობა კარბონატულ და არაკარბონატულ მეტეორიტთა შემადგენლობას შორისაა. ეს კი იმაზე მიუთითებს, რომ დედამიწის მოლიბდენის გარკვეული ნაწილი გარე მზის სისტემიდან არის მოსული.

ამ კონტექსტში მთავარ როლს თამაშობს მოლიბდენის ქიმიური მახასიათებლები, რადგან იგი რკინის მოყვარული ელემენტია და დედამიწაზე არსებული მოლიბდენის მარაგის უმეტესობა პლანეტის ბირთვშია თავმოყრილი.

კვლევის მეორე ავტორის კრისტოფერ ბარკარტის განცხადებით, აქედან გამომდინარეობს, რომ დედამიწის ფორმირების განმავლობაში არსებული მოლიბდენი მოსულია დედამიწის ფორმირების გვიანდელ ეტაპზე; ადრეული ფაზების მოლიბდენი კი მთლიანად თავმოყრილია ბირთვში.

გამომდინარე აქედან, პირველად ისტორიაში, ამ კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ კარბონატული მასალები დედამიწაზე გარე მზის სისტემიდან მოვიდა. მეცნიერებმა ერთი საფეხურით კიდევ უფრო წინ წაინდგინეს. დაადგინეს, რომ დედამიწის მანტიის არსებული მოლიბდენის დიდი ნაწილი პროტოპლანეტა თეიამ მოიტანა. ეს სხეული დედამიწას 4,4 მილიარდი წლის წინათ შეეჯახა და სწორედ ამ შეჯახების შედეგად დაიბადა მთვარე.



იმის გათვალისწინებით, რომ დედამიწის მანტიის მოლიბდენის მარაგის უმეტესობა გარე მზის სისტემიდან არის მოსული, ნათელი ხდება, რომ სწორედ გარე მზის სისტემიდან არის მოსული თავად პროტოპლანეტა თეიაც.

მეცნიერთა განცხადებით, ამ შეჯახებას საკმარისი კარბონატული მასალები უნდა მოეცინათ იმისათვის, რათა წარმოქმნილიყო დედამიწაზე არსებული წყლის ოდენობა.

კვლევა ჟურნალ Nature Astronomy-ში გამოქვეყნდა. მოზაიკური ილუსტრაცია uni-muenster.de-ს მიხედვით.

მარსმაპვალ „კუროზიტის“ უდიდესი აღმოჩენა ნითელ კლანეტაზე

მარსზე თიხის აღმოჩენა უმნიშვნელოვანესია, რადგან ხშირად, ის წყალთან ურთიერთქმედებით წარმოიქმნება. თიხის პოვნისას, როგორც წესი, პოულობენ წყლის არსებობის მტკიცებულებასაც. მარსის ბუნების ისტორიისა და ამჟამად არსებული წყლის კვლევა უმნიშვნელოვანესია ამ პლანეტის შესასწავლად და იმის გასარკვევად, იყო თუ არა იქ ოდესმე სიცოცხლე.

თიხები იყო. ახლახან „კუროზიტის“ ქანების ახალი ნიმუშები აიღო და თიხის არსებობა საბოლოოდ დადასტურდა. თიხის შემცველობა განსაკუთრებით მაღალი აღმოჩნდა ორ ნიმუშში. ეს ქანები განთავსებულია მისი უმთავრეს სამიზნესთან – შარპის მთის ქვედა ნაწილში.

შარპის მთა კრატერის ფსკერიდან 5,5 კმ სიმაღლეზეა აღმოჩენილი და მისი ფენები მარსის გეოლოგიური ისტორიას ინახავს. დროთა განმავლობაში ქარმა სხვადასხვა ფენები მოაშვივლა და, შესაბამისად, „კუროზიტის“ მათი გაბურღვა გაცილებით ადვილად შეუძლია.

მეცნიერების ინტერესი შარპის მთისადმი ძირითადად გამოწვეულია მისი წარმოქმნის ისტორიით. გეილისის კრატერი, რომელშიც ის მდებარეობს, უძველესი დარტყმითი კრატერი და ერთ დროს ის წყლით იყო გასველებული. მკვლევართა ვარაუდით, შარპის მთა ორი მილიარდი წლის განმავლობაში ყალიბდებოდა, ტბის ფსკერზე დეპოზიტების დალექვის შედეგად. ასევე არ არის გამორიცხული, რომ ერთ დროს მთლიანი კრატერი დანალექებით იყო ამოვსებული, რომლებმაც თანდათან ეროზია განიცადა და საბოლოოდ დარჩა შარპის მთა.

შარპის მთის ფორმაციის ქრონოლოგია გარკვეულწილად ბურუსითაა მოცული და „კუროზიტის“ ერთ-ერთი მთავარი მიზანი სწორედ ამ აპზის გარკვევაა. ნებისმიერ შემთხვევაში აშკარაა, რომ შარპის მთა დანალექებისგან ეროდირებული (ამოჭმული) მთაა; „კუროზიტი“ კვლევას განაგრძობს და მეცნიერებს იმედი აქვთ, რომ ამ მთის წარმოქმნის ზუსტ ამბავს ბოლო და ბოლოს გაარკვევენ.

სპეციფიკურ ფენებში სპეციფიკური ტიპების თიხის პოვნა მეცნიერებს მარსის წყლის ქრონოლოგიის შესახებ უყვება. ცნობილია, რომ მთების სხვადასხვა ფენები სხვადასხვა მინერალებს შეიცავს. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ქვედა ფენები შეიცავს თიხებს, მათ ზემოთ

მაგალის ახალი აღმოჩენა მიუთითებს, რომ როგორც მოსალოდნელიც იყო, გეილისის კრატერში ერთ დროს უხვად იყო წყალი. თუმცა, დეტალები ჯერჯერობით გაურკვეველია. როგორც ჩანს, მთის ქვედა ნაწილში არსებული თიხით მდიდარი ეს ქანები ტბის ფსკერზე, დანალექების სახით წარმოიქმნა. გეოლოგიური დროის პერიოდებში წყლისა და დანალექების ურთიერთქმედების შედეგად კი წარმოიქმნა თიხა.

სპეციფიკურ ფენებში სპეციფიკური ტიპების თიხის პოვნა მეცნიერებს მარსის წყლის ქრონოლოგიის შესახებ უყვება. ცნობილია, რომ მთების სხვადასხვა ფენები სხვადასხვა მინერალებს შეიცავს.


როგორც უკვე აღვნიშნეთ, ქვედა ფენები შეიცავს თიხებს, მათ ზემოთ

განლაგებულია გოგირდის შემცველი ფენები, ამის ზემოთ კი ფენები, რომლებშიც არის ჟანგბადის შემცველი მინერალები. გოგირდი იმაზე მიუთითებს, რომ იქაურთა გამოშრა, ანდაც წყალი უფრო მზავური გახდა. გეილისის კრატერი ასევე შეიცავს მდინარის არსს, რომელსაც გეილიზ-ვალისის არსს უწოდებენ; ის თიხისა და გოგირდის ფენების შემდეგ არის წარმოქმნილი. ეს არხი ერთგვარი გამოცანაა, რომლის ამოხსნაც სრულ სურათს უფრო შეავსებს. „კუროზიტი“ შარპის მთაზე გზას განაგრძობს, იღებს ნიმუშებს და სულ უფრო ავსებს მთის გეოლოგიისა და ისტორიის სურათს.

გარდა ამისა, თიხის შემცველი მინერალები „კუროზიტის“ უფრო დეტალურად დაგვანახა, ვიდრე ორბიტაზე მოძრაობა თანამგზავრებმა. თიხის აღმოჩენით ამ მაგალმა ცხადყო ისიც, რომ სამუშაო იქ ძალიან ბევრია.

მოზაიკური ილუსტრაცია Universe Today-ს მიხედვით.

როგორი ქვეყანაა დამნაშავე ოზონის ფენის განადგურებაში?



ზუსტად ერთი წლის წინათ, ამერიკელი მეცნიერები იზწყებოდნენ, რომ ატმოსფეროში საგრძობლად იყო მომატებული ოზონის დამშლელი ქიმიური ნივთიერებები, ე. წ. ქლორფთორნის შირბადები.

გამომდინარე იქიდან, რომ ამ ნივთიერებათა გამოყენება გლობალურად აიკრძალა 1987 წელს ხელმოწერილი მონრეალის პროტოკოლით. შესაბამისად, რჩებოდა მხოლოდ ერთი ახსნა – სადღაც, სრულიად უცნობ ადგილას, ვიღაც შეთანხმებას არღვევდა და ოზონის ფენის განადგურებას განაგრძობდა, თანაც მთელი ათი ან მეტი წლის განმავლობაში.

ბევრი სპეკულაციის შემდეგ, სამეცნიერო კვლევის შედეგად, ამ მავნე გამოწვევების სიმძლავრე და ზუსტი ადგილსამყოფელი ბოლოს და ბოლოს დადგინდა. როგორც „ნიუ-იორკ ტაიმსში“ გამოქვეყნებული პირველი მოხსენება იწვევდა, გამოწვევა იქნა ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროდან უნდა მოდიოდეს.

მას შემდეგ, რაც 2013 წელს მონრეალის პროტოკოლი წარმატებულად გამოცხადდა, ამ ძლიერმა სამრეწველო რეგიონმა მისი დარღვევა გადაწყვიტა. შემთხვევით თუ შეგნებულად, გამოიყოფოდა CFC-11 - მეორე ყველაზე უხვი ქლორფთორნის შირბადი ატმოსფეროში. 2008-2012 და 2014-2017 წლებში CFC-

11-ის გამოყოფა იქ დაახლოებით 110 პროცენტით გაიზარდა. როგორც მკვლევართა საერთაშორისო ჯგუფი ახალ მოხსენებაში წერს, ეს რაოდენობა CFC-11-ის გლობალური გამოყოფის დაახლოებით 60 პროცენტია. ჯგუფის განცხადებით, აღმოსავლეთ აზიის სხვა ქვეყნებსა და მსოფლიოს არც ერთ სხვა რეგიონში CFC-11-ის გამოყოფის მნიშვნელოვანი ზრდა არ დაფიქსირებულა. მიუხედავად იმისა, რომ CFC-11-ის გამოყენება აკრძალულია, ის ერთ-ერთი უიავესი გზაა მაცივრებისა და შენობების საინჟინერო ქაფის საწარმოებლად.

დოკუმენტებისა და საერთაშორისო წყაროების შესწავლის შემდეგ, „ნიუ-იორკ ტაიმსის“ ჟურნალისტებმა და დამოუკიდებელმა გამოძიებლებმა გაარკვიეს, რომ ჩინეთის ზოგიერთ ქარხანაში წლების განმავლობაში უკანონოდ იყენებდნენ CFC-ს.

მათ შორის არის, მაგალითად, შანდუნის პროვინციის სამრეწველო ქალაქ სინგუში არსებული ქარხნები. სწორედ ამ პროვინციამდე მიიყვანა კვალმა მეცნიერებები.

სამხრეთ კორეისა და იაპონიაში, სხვადასხვა ადგილებში ჩატარებული ატმოსფერული დაკვირვებების შემდეგ, მეცნიერებმა ერთმანეთს შეადარეს გლობალური მონიტორინგის მონაცემები და ატმოსფერულ ქიმიურ ნივთიერებათა მოძრაობები. მათი მიზანი იმის გარკვევა იყო, აღმოსავლეთ აზიის კონკრეტულად რომელი რეგიონიდან ხდებოდა CFC-11-ის გამოყოფა.

შანდუნთან ერთად, ამ საქმიანობაში ჩართული აღმოჩნდა ახლომდებარე პროვინცია ხებეიცი. ორივე რეგიონი ძლიერ ინდუსტრიულია. მიუხედავად იმისა, რომ შეიძლება, ეს ქიმიური ნივთიერება იქ სულაც არ გამოიყოფოდა, აშკარა იყო, რომ

დაბინძურება სადღაც ახლომდებარე ადგილებიდან ხდებოდა. როგორც მკვლევარები წერენ, გამოწვევების ამ მხარეებში ზარალი ოზონის საჭირო იყო ახალი გამოწვევების მაცივრების განადგურების შედეგად, თანაც იმაზე ათჯერ მაღალი მაჩვენებლით, ვიდრე მთელ ჩინეთში უნდა ყოფილიყო 2014-2017 წლებში. კიდევ ერთი მიზეზი შეიძლება ყოფილიყო კვლევი შენობების უფრო სწრაფი ტემპით დანგრევის შედეგად გამოყოფილი გამოწვევები.

მიუხედავად იმისა, თუ რას საქმიანობენ ეს ქარხნები, მათი ქმედებები სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენს არა მხოლოდ ოზონის ფენისთვის, არამედ ზოგადად კლიმატის კრიზისისთვის. CFC-11-ს ატმოსფეროში სიცხის მომაშველებელი უმძლავრესი ეფექტი აქვს. ექსპერტები შიშობენ, რომ, თუ გამოყოფა ასე გაგრძელდება, ის ქვანახშირზე მომუშავე 16 ელექტროსადგურის მიერ ყოველწლიურად გამოყოფილი CO2-ის ეკვივალენტი იქნება. ამჟამად ჩინეთი მსოფლიოში პოლიურეთანის ქაფის მესამედს აწარმოებს და გამოწვევები შესაძლია, მხოლოდ ნაწილი იყოს უკვე წარმოქმნილი დაბინძურებისა. დანარჩენი CFC-11 შეიძლება, ჯერ კიდევ ჩაჭედული იყოს ნელა გამოყოფად საცავებში. სამწუხაროდ, ახალ კვლევას არ შეუძლია დამნაშავეს პოვნა და, შესაბამისად, ჯერ კიდევ უცნობია, დაბინძურება მართლაც ჩინეთის ამ ორი რეგიონიდან მოდის თუ კიდევ სხვა მრავალი წყაროდან. მოკვლევა გრძელდება.

კვლევა ჟურნალ Nature-ში გამოქვეყნდა. მოზაიკური ილუსტრაცია ScienceAlert-ის მიხედვით.

რაგბი ჩვენი თემაა!



ეს უკვე ბენდენსია!

საბარტვილოს 20 წლამდე ასაკის მორაგბეთა ნაკრებმა წარმატებით შეასრულა არგენტინაში მიმდინარე მსოფლიო ახალგაზრდული ჩემპიონატის წინ დასახული პროგრამა-მინიმუმი, ჯგუფური რაუნდის მესამე მატჩი შოტლანდიას 17:12 მოუგო და ახლა ბრძოლას IX-XI ადგილებისთვის ფიჯის გუნდთან შეხვედრით განაგრძობს.

შეგნებულად დათმო პირველი ტაიმი - 0:7, მაგრამ საკმარისი აღმოჩნდა ისინი პარტნიორებს შეერთებოდნენ, რომ ჩვენმა შერეკინებამ ძირფესვიანად შეცვალა დუელის სცენარი და საქმე ძველი საკვირველამდე მიიყვანა.

ჩოგბურთი

წინააღმდეგობა - მაღიარო



ძარტვილი ჩოგბურთელი ნიკოლოზ ბასილაშვილი გერმანიის ქალაქ შტუტგარტში დაწყებულ საერთაშორისო ტურნირს (საპრიზო ფონდი 754 540 ევრო) პირველივე წრეში გამოეთიშა.

ოკეანის ბაღა

მოსდბ ის, რასაც იანვრის დასაწყისში, ალბათ, ვერავინ წარმოიდგენდა - რეგულარული სეზონის მაშინდელი აუტსაიდერი პირველად გახდა ნჰლ-ის ჩემპიონი.



ბლუზის მეფენი

სნაიპერ ვლადიმერ ტარასენკოს ძალისხმევით (44 გოლი) ნავსი მაინც გაატეხა.

ხელბურთი

პადაქა - ნახევარფინალში

საბარტვილოს ნაკრები IHF ერთა ჩემპიონატის ნახევარფინალშია - მეოთხე ტურში ჩვენებმა 28:22 დაამარცხეს აშშ. ჯგუფში პირველობის ბედი ბულგარეთთან მატჩში გაირკვევა, უკვე ცნობილია ოთხივე ნახევარფინალისტი: საქართველო, ბულგარეთი, კუბა და ბრიტანეთი.

ჭანტურია ამერიკასთან კარგად შეეცვალა ბათუმის „შავი ზღვის ბიჭების“ მოთამაშემ ირაკლი გოგოლაძემ, რომელმაც პირველივე ტაიმში 3 დარტყმიდან 3 გოლი გაიტანა.



ჭადრაკი

ფინიში ფორგალოზად გვექსა



(უკრაინა) დაუზავდა. ასევე, ყაიძეშვილმა შეთანხმდნენ მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი კატერინა ლაგნო (რუსეთი) და ტურნირის ერთობლივ-ნული ლიდერი ალექსანდრა გორიაჩკინა (რუსეთი), ანა მუზიჩუკი (უკრაინა) და მსოფლიოს ექს-ჩემპიონი თან ჩჟუნი (ჩინეთი), ხოლო მსოფლიოს და ევროპის ექს-ჩემპიონმა ალექსანდრა კოსტენიუკმა (რუსეთი) ევროპის სამგზის ჩემპიონი, თანამემამულე ვალენტინა გუნინა დაამარცხა.

ოთხი ქვეყნის 8 დიდოსტატი მონაწილეობს ყაზანში მიმდინარე მოჭადრაკე პრეტენდენტ ქალთა ორწრიან ტურნირში (საპრიზო ფონდი 200.000 ევრო, რომელიც ადგილების მიხედვით ასე გადანაწილდება: 50.000-40.000-30.000-25.000-20.000-15.000-12.000 და 8.000 ევრო), რომლის გამარჯვებულს მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულისთვის ამჟამინდელ გვირგვინსან ცზიუ ვენიფუს (ჩინეთი) შეხვედება.

გახსენება

რუსუდან (რუსიკო) რიგვაპა

სიყვარულის ღვთიური ნიჭით უპეკული



16 ივნისს 55 წელი შეუსრულდებოდა. მშობლების ნებეირა, ტოლ-ამხანაგების საიმედო დასაყრდენი, თანამდგომი და თანამგრძობი, მკურნალი (სულისა თუ ხორცისა) - ასეთი საგზოლით დადიოდა ამ ცოდვილ მიწაზე, სიცოცხლეს შეჭარბოდა და მის გარშემო მყოფთ ამავე მუსტიით გვაგვსებდა.

ადვილი არ იყო ვიქტორია სირაძისა და სერგო რიგვაპას შვილობა, ადამიანებისა, რომლებმაც ქვეყნისა და ხალხის სამსახურში მრავალწლიანი თავდაუზოგავი შრომით საზოგადოებაში დიდი პატივისცემა და ავტორიტეტი დაიმსახურეს.

რუსიკო ყოველმხრივ ერიდებოდა მშობლების გავლენისა და ავტორიტეტის გამოყენებას, ემიმებოდა ეს ტვირთი.

ამიტომ იგი ადრეული ასაკიდანვე ცდილობდა თვითდამკვიდრებას საზოგადოებაში, თავის ტოლ-ამხანაგებში.

უპირმეტყველეს, მას მიაჩნდა, რომ ქვეყნად ყოველის შემდეგ და დაუმარცხებელი ძალა სიკეთე და სიყვარულია. მას შეეძლო, უშურველად გაეცა, რაც ჰქონდა, რათა ბედნიერება მიენიჭებინა გარშემო მყოფთათვის.

თითქოს გრძობდაო წუთისოფლის ხანმოკლეობას, რომელიც განგებამ დაუდგინა და ჩქარობდა თავისი მოქალაქეობრივი მოვალეობის აღსრულებას.

ადრეულ ასაკში დაოჯახდა, თავისი ცხოვრება დაუკავშირა ცნობილი მკურნალის, პროფესორ ზურაბ ჭილაძის ოჯახის ღირსეულ შვილს ალექსანდრეს. მალე ვაჟიშვილიც ზუკა ჭილაძე შეეძინათ.

მოსკოვის სამედიცინო ინსტიტუტის დამთავრებისთანავე საკავშირო დახელოვნების ინსტიტუტის ორდინატურაზე გაიარა.

23 წლის ასაკში, დისერტაციის ბრწყინვალედ დაცვის შემდეგ, მისმა ოპონენტმა - მედიცინის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა, ლეგენდარულმა ქალბატონმა მარიამ გრიგალაშვილმა სიხარულით გვაუწყა, დღეს ექიმთა ლაშქარს ერთი ღირსეული წევრი შეემატა, რაშიც ჩემი მოკრძალებული წვლილიცაა.

რუსიკო ბოლომდე იხარჯებოდა ოჯახში, საზოგადოებაში, სამეგობროში, სამსახურში.

„დამფრთხალი შვილის ნუკრისთვალეობა“, როგორც მას სიყვარულით უწოდებდნენ, ადამიანებისთვის მინიჭებული სიხარულით ხარობდა, რადგან მიაჩნდა, რომ სწორედ მაღლი და სიყვარულის დაკლებოდა მის დაბნეულ სამშობლოს (90-იანი წლების დასაწყისი) დამოუკიდებლობის გზაზე რომ შემდგარიყო და ვერც შემდგარიყო... ქართველები აზანზარებდა... რუსიკო მტკიცედ გაჰყვა არჩეულ გზას და ჩამოყალიბდა კიდეც საუკეთესო სპეციალისტად, მკურნალად, თავისი ქვეყნის ერთგულ ჭირისუფლად.

ამ რთულ ვითარებაში რუსიკოს ჯანმრთელობის მდგომარეობას ბზარი გაუჩნდა, გადაუდებელი ოპერაცია გახდა საჭირო, რომელიც მისი გადანეწვეტილებით მოსკოვის იმ კლინიკაში უნდა ჩატარებულიყო, სადაც რუსიკო სასწავლო პრაქტიკას გადიოდა.

იმ რამდენიმე დღის განმავლობაში, რაც ოპერაციის მოსამზადებლად იყო

საჭირო, ჩვენმა კეთილმა ფერიამ საოცარი სითბო და სიყვარული მიანიჭა პაციენტებს: ვის - ოპერაციის წინ ამხნევებდა, ვის - ოპერაციის შემდგომ პერიოდს უმსუბუქებდა...

მაგრამ მისთვის ოპერაცია საბედისწერო აღმოჩნდა, ექიმთა და ახლობლების ყოველგვარი ცდის მიუხედავად, მისი გადარჩენა ვერ მოხერხდა და ეს შოკისმომგვრელი შედეგი მოულოდნელი იყო ყველასთვის, ვინც რუსიკოს იცნობდა, ვერ აგვეხსნა, სიკეთით, სიქველად, სიყვარულით, სილამაზითა და სხვა ღვთიური ნიჭით აღსავსე ადამიანის ასეთი აღსასრული.

დატოვა ფრთამოტყვილი მუღღლე, დედის ალერსით გაუმძღარი ვაჟიშვილი, გულმოკლული ძმა, დაზაფრული მეგობრები, ხოლო სახელმწიფოს მშენებლობაში დამამზრად მშობლებს სიცოცხლე სასჯელად უქცია.

25 წელი გაილია იმ ავბედითი დღიდან, ჩვენო რუსიკო! ამ ხნის განმავლობაში ბევრი რამ შეიცვალა შენს სანუკვარ სამშობლოში. ზოგი - უკეთესობისკენ, ზოგი - უარესობისკენ...

შენი ზუკა, რომელიც მამამაც ადრე მიატოვა და შენ მოგაშურა, კარგი ვაჟკაცი დადგა, არასოდეს არ უღალატია ჭილაძეების, სირაძე-რიგვაპების ოჯახების სინმინდისა და ტრადიციებისათვის, მაგრამ მშობლების სითბოს მოკლებულს სევდის დალი არ მოშორებია.

გვჯერა, მის მიერ შერჩეული გულისსწორი მის ცხოვრებას სასიკეთოდ შეცვლის.

მალე შვილიშვილები აჟღურტულდებიან შენი და ალექსის საფლავთან, რომ იებით მოგილოცონ ყოველი დღესასწაულის დადგომა, რათა იხაროს თქვენმა სულემბა.

ჩვენო დაუვიწყარო, საყვარელო რუსიკო, ეს წელი ხომ შენი ძვირფასი დედის საიუბილეო წელიცაა. აუჰ, რა სილამაზეს და სიყვარულს მოჰყვნიდი ამ დღეს.

უფალმა სხვაგვარად ინება, შენ მანდედან მიულოცავ.

ჩვენ კი, მიუხედავად დიდი მონდომებისა, ამ თარიღის რამენაირად აღნიშვნისათვის მისგან კატეგორიული უარი მივიღეთ. იქნებ არც არის გასაკვირველი, რადგან ვიცით, რომ შენს შემდეგ მისთვის არავითარი ღირსშესანიშნავი თარიღი, გარდა შენთან დაკავშირებული თარიღებისა, არ არსებობს. მისი ყოველდღიური საქმიანობის ძირითად ნაწილს კი შენი და ალექსის საფლავებზე მოსვლა და თქვენი სულებისათვის ლოცვა შეადგენს.

უფალმა უსმინოს.

მარადიულ ნათელში იყოს თქვენი უმანკო სულები...

ან და მარადის.

მამოზრეპი

სულთათნა

ემა გაჯიევა



თემურ და ლალი ჯაფარიძეები ოჯახებით ღრმა მწუხარებით იუნყებებიან, რომ გარდაიცვალა ემა გაჯიევის ასული გაჯიევა.

ემა გაჯიევა დაიბადა 1937 წლის 13 მარტს, დაღესტნის რესპუბლიკაში, ქ. მახაჩყალაში, ინტელიგენციის ოჯახში. მისი მამა, რაჯაბალი გაჯიევი, მუშაობდა მთავარ ექიმად ქ. დაღესტანსკიე ოგნის საავადმყოფოში. დედა საფინანსო გაჯიევა იყო საკრებულოს თავმჯდომარე ასტას (ასტასის) რაიონში.

ომის წლები მან გაატარა სოფელ ასტაში, სადაც დაამთავრა პირველი საშუალო სკოლა, ხოლო 1955 წლიდან სწავლა გააგრძელა ფილოლოგიის ფაკულტეტზე დაღესტნის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ქ. მახაჩყალაში, რომლის დამთავრების შემდეგაც გაგზავნილ იქნა ქ. მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებული ასპირანტურის გასაწვლად სამეცნიერო თემით „ღვთიური ენის დიალექტები“.

დაოჯახების შემდეგ, 1963 წლიდან, ემა გაჯიევა ცხოვრობდა საქართველოში, ქ. თბილისში, სადაც აგრძელებდა თავის საქმიანობას ლინგვისტიკის სფეროში. მუშაობდა ლექტორად შოთა რუსთაველის სახელობის თბილისის სახელმწიფო თეატრალურ ინსტიტუტში, სადაც აგრეთვე ასწავლიდა სულემან სტალსკის სახელობის ლეზგური თეატრის სტუდენტებს. მუშაობდა თანამედროვე კლასიკოსების თარგმანებზე. პროფესიული საქმიანობის უკანასკნელი 25 წლის განმავლობაში ქალბატონ ემა გაჯიევის მიჰყავდა ლექციები საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, სადაც ასევე კოლეგებთან და სტუდენტების სიყვარული და პატივისცემა ჰპოვა.

თავის მეუღლესთან, აკადემიკოს ჯონდო ჯაფარიძესთან ერთად მან შექმნა თვალსაჩინო კავკასიური ტრადიციების მქონე ოჯახი, რომელსაც სწორად სტუმრობდნენ საქართველოსა და სხვა ქვეყნების ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლები. ქალბატონი ემას განუმეორებელი ქარიზმა უცვლელად სუფევდა ჯაფარიძეების ოჯახში გამართულ საღამოებზე, ქართული სიმღერებისა და

ქალაქური რომანსების ჰანგების თანხლებით. ლეზგური ერის ერთერთმა ღირსეულმა წარმომადგენელმა ემა გაჯიევამ სამშობლოს გარეთაც შეძლო, შეენარჩუნებინა თავისი კუთხის კოლორიტი და ცხოვრების ბოლომდე გაეტანა სიყვარული მცირე სამშობლოს - ასტასის მიმართ. ქალბატონი ემას შემართებით ბევრმა მის გარემოცვაში არა მხოლოდ პირველად შეიტყო დაღესტნის შესახებ, არამედ შეიყვარა კიდეც ეს მხარე.

ემა გაჯიევამ დაუტოვა საქართველოს ორი შვილი: თემურ ჯაფარიძე - ინჟინერ-ქიმიკოსი, მოღვაწეობს თბილისში, ნავთობისა და გაზის სფეროში. ჰყავს ორი შვილი, ნათა და ჯონდო, და შვილიშვილი სონია; ლალი - ექიმი, დაოჯახებულია, ცხოვრობს და მოღვაწეობს დიდ ბრიტანეთში, ქ. ლონდონში.

ემა გაჯიევა გარდაიცვალა 82 წლის ასაკში, 2019 წლის 9 მაისს, ქ. თბილისში, სადაც თავისი ცხოვრების 56 წელიწადი გაატარა.

ემა რაჯაბის ასული გაჯიევის გარდაცვალებასთან დაკავშირებით ჯაფარიძეების ოჯახი ღრმა მწუხარებით უთანაგრძობს მის ძმას აბდულმუტალიბ რაჯაბის ძე გაჯიევს და დას ელმირა რაჯაბის ასულ გავიბეკოვას, მათ ოჯახებსა და ნათესავებს.

თემურ და ლალი ჯაფარიძეები

შვილი მარინა მაჭავარიანი-ანჯაფარიძე, შვილიშვილები დეა მჭედლიშვილი და ზურაბ ანჯაფარიძე, შვილთაშვილები ნესტანი, ნინო, გიორგი შაშიაშვილები, მარია, ლიზა ანჯაფარიძეები, შვილთაშვილის შვილი ირაკლი ჩხენკელი, სიძეები თეიმურაზ შაშიაშვილი, მურმან ჩხენკელი, რძალი თინათინ ანჯაფარიძე ღრმა მწუხარებით იუნყებიან ოჯახის წევრის, მოსიყვარულე და მოამაგე დედისა და ბებუის, დამსახურებული იურისტის, კულტურის დამსახურებული მუშაკის

რუსუდან (ელისო) მაჭავარიანის

გარდაცვალებას. სამოქალაქო პანაშვიდი 14 ივნისს, გრიბოედოვის 6. გამოსვენება 15 VI, 14 სთ. ქაშვეთის წმ. მარინეს სახელობის ეკლესიიდან.

შ.პ.ს. „გეომარის“ თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუნყებიან და განიცდიან თავისი საქმის მაღალი პროფესიონალის

ირაკლი

სიხარულიძის

გარდაცვალებას და უსამძიმრებენ მის ოჯახს.



რეკლამა

„საქართველოს რესპუბლიკაში“
ჩიქობავას ქ. №42/5. 599 79-76-79; 568 82-09-84

დავით უჯმაჯურიძე მოულოდნელად გარდაიცვალა

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ღრმა მწუხარებას გამოთქვამს საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის დავით უჯმაჯურიძის მოულოდნელი გარდაცვალების გამო. ვუსამძიმრებთ გარდაცვლილის ოჯახს, ახლობლებს და კოლეგებს – ამის შესახებ ნათქვამია საკრებულოს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.



„დავით უჯმაჯურიძე თბილისის მუნიციპალიტეტის VI მონვევის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე გახლდათ. 2004/2008 წლებში ის საქართველოს VI მონვევის პარლამენტის წევრი იყო.“

დავით უჯმაჯურიძე აქტიურად მონაწილეობდა მუნიციპალიტეტის მუშაობაში. ის გახლდათ საკრებულოს ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის და სატრანსპორტო საკითხთა კომისიის წევრი“.

საქართველოს პარლამენტართა პალატა ღრმა მწუხარებით იუნწყება, რომ გარდაიცვალა 1999-2004 წწ. მონვევის საქართველოს პარლამენტის წევრი

დავით უჯმაჯურიძე

და უსამძიმრებთ განსვენებულის ოჯახს. პალატის სახელით ქობა ამირხანაშვილი

უბაღური შემთხვევა კაჭრეთში

„სამართლიან სახელმწიფო ელექტროსისტემა“ კაჭრეთში თანამშრომლის დაღუპვასთან დაკავშირებით განცხადებას ავრცელებს.

„12 ივნისს, დაახლოებით 23:30 საათზე ქვესადგურში „კაჭრეთი-110“, ფიდერზე აღდგენითი სამუშაოების ჩატარების დროს მოხდა უბედური შემთხვევა, გარდაიცვალა გურჯაანის ქვესადგურების ზონის უფროსი, 33 წლის შოთა მთავარაშვილი.“

ამ დროისათვის გარდაცვალების მიზეზი უცნობია. დანიშნული სამედიცინო ექსპერტიზა და მიმდინარეობს გამოძიება.

„საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ მწუხარებას გამოთქვამს მომხდარის გამო და უსამძიმრებთ გარდაცვლილის ოჯახს“.

სამხედრო მოსამსახურე პატივისცემის პოლიგონზე შეუქმლავთ გზა და გარდაიცვალა

სამხედრო მოსამსახურეების აღმოსავლეთ სარდლობის მე-4 მექანიზებულ ბრიგადის 44-ე ბატალიონის სამხედრო მოსამსახურე გეგმური სწავლებისას შეუქმლავთ გზა და ლაზარეთში შეყვანისას გარდაიცვალა, – ინფორმაციას საქართველოს თავდაცვის სამინისტრო ავრცელებს.



„საქართველოს თავდაცვის სამინისტრო ღრმა მწუხარებას გამოთქვამს საქართველოს თავდაცვის ძალების სამხედრო მოსამსახურის, 30 წლის კაპრალ მამუკა ხარაზიშვილის გარდაცვალების გამო.“

ფონდი „ქართუ“ გორა-ბერეჟოვსკის მისვლა!

სამხედრო მემკვიდრეობის დაფინანსებითა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ორგანიზებით ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ გორა-ბერეჟოვსკის მისვლის სახელმწიფო პროექტის დაწყება.

საპროექტო დოკუმენტაციის საფუძველზე სრულად აღდგება XIX საუკუნის არქიტექტურული ნაგებობის ყველა კონსტრუქციული ელემენტი. ავთენტური ფორმით რესტავრირდება სასახლის იატაკი და ამორტიზებული სართულია გადახურვა. პირვანდელ იერსახეს დაიბრუნებს ნაგებობის უნიკალური ხის აივანი თავისი მოაჯირებით, სრულად აღდგება ერისთავების სასახლის მარანი და ყველა სამეურნეო დანიშნულების სივრცე. ასევე ფონდი „ქართუ“ ფინანსური მხარდაჭერით წარმართება სოფელ ერკეთის მთავარანგელოზის სახელობის დედათა მონასტრის სარეაბილიტაციო სამუშაოებიც. კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს ინფორმაციით, 2019 წელს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების აღდგენა-რეაბილიტაციის მასშტაბი მნიშვნელოვნად გაიზარდა. სახელმწიფოსა და საქველმოქმედო ფონდი „ქართუ“ მხარდაჭერის ფინანსური პირობებში, დარგისკენ მიმართული ერთობლივი ფინანსური რესურსი ამ დრომდე უპრეცედენტო ოდენობას შეადგენს.

„სარესტავრაციო, საკონსერვაციო და არქეოლოგიური სამუშაოებისთვის სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებულ 9 მილიონ ლარს, რომელსაც კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო განკარგავს, ფონდი „ქართუ“ მიერ მიმდინარე წლისთვის გამოყოფილი 20 მლნ ლარი დაემატება და სრულად წარმართება კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლების რეაბილიტაციაზე. მიმდინარე წელს ფონდი „ქართუ“ ფინანსური რესურსით იქნება უზრუნველყოფილი 53 კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის რეაბილიტაციის პროცესი. სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებით კი წელს სარესტავრაციო-საკონსერვაციო სამუშაოები 43 არქიტექტურულ ნაგებობაზე წარმართება“, – ნათქვამია კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს ინფორმაციაში.



მოგაერთავთ გაზეთის მზრუნველთა საბჭოს სახელით

განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 100 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.

გვეყვარა, რედაქციის მიმართავს გამოცემამაურებიან ჩვენი ბიზნესმენ-ქველმოქმედნიც და გარკვეულ ფინანსურ დახმარებას გაუწევენ გაზეთს.

ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009. (შპს „ახალი საუკუნე“ – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი).

საქართველოს რესპუბლიკა SAKARTVELOS RESPUBLIKA

ბ. ჩიქობავას (ყოფილი საბჭოს) ქუჩა №42/5 ტელ: 296-72-86

მთავარი რედაქტორი სპარტაკ ძოგულია 599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები: გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;

ალექო ასლანიშვილი 599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24

გამომცემელი: შპს „ახალი საუკუნე – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ 599 53-76-16; 599 36-00-35 შპს „თანადგობა“-ს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ ტ: 599 79-76-79

იბეჭდება გამომცემლობა „კოლორ პრესში“ რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22) ს-323



ავტორთა სახურადავად!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალაში დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაქმობა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ ვენი გაზეთია, აუსილავლად გამოიწერა, რასაც აქ წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!

საქართველოს პოსტის კარგი:
საქართველოს პოსტის კარგი - 2.7342; პირი - 3.0940;
ბრიტანული მიმართვა სტარტინგი - 3.4864;
100 რუბლი - 4.2246; თურქული ლირა - 0.4703;
საბრაზიანული მანათი - 1.6084;
1000 სომხური დრამი - 5.7070.

აივნი 14 ივნისისთვის
აღმოსავლეთი საქართველო:
ბარსი - ლაპი +15, ლაპი +35
მთიანი რაიონები - ლაპი +11, ლაპი +30
დასავლეთი საქართველო:
ბარსი - ლაპი +17, ლაპი +33
მთიანი რაიონები - ლაპი +13, ლაპი +30
თბილისი: ლაპი +19, ლაპი +33

დაავიკავით, მოგვეყვით: ტელ: 296-72-86, 599-79-76-79, 568-82-09-84 ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge